P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ბაჩო ახალაია სოზარ სუბარის დასჯას ითხოვს

იხილეთ მე-3 გვერდზე

„წყალს სასმელად ვერ ვიყენებთ, გადასახადს კი გვახდევინებენ“

იხილეთ მე-6 გვერდზე

№ 26 (676) 7 - 13 ოქტომბერი, 2013 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ჯანდაცვის მინისტრის დაპირება არ გამართლდა — ამბულატორიის ექიმები კუთვნილ ხელფასს ითხოვენ

უკმაყოფილო ექიმები გეგმავენ, სადაზღვევო კომპანიას სასამართლოში უჩივლონ

საქართველოს თითქმის ყველა სოფელს ჰყავს ექიმი და აქვს ე.წ. ამბულატორია, თუმცა, რეალურად არც სოფლის ექიმები არიან ჯანდაცვის საერთო სისტემის ნაწილი და არც ამბულატორიები არსებობენ იმ ფორმით, რასაც ეს მცნება ითვალისწინებს. ექიმები რეგისტრირებული ინდმეწარმეები არიან, ხოლო ე.წ. ამბულატორიები ყველა სოფელში გამგეობის რომელიმე ოთახში არიან შეკუჭულები და არ ხდება მონიტორინგი, როგორ ახერხებენ ისინი პაციენტთა მომსახურებას, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ხელისუფლების შეცვლამდე.

ჯანდაცვის პოლიტიკის მკვეთრი ცვლილებების შედეგად ინდმეწარმე სოფლის ექიმებს პრობლემები შეექმნათ — სადაზღვევო კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადახდა ვეღარ შეძლო და სოფლის ექიმები, ფაქტობრივად, უხელფასოდ დარჩნენ.

ამბულატორიების ექიმთა ანაზღაურება 500 ლარი იყო, თანხის ნახევარს ჯანდაცვის სამინისტრო, ნახევარს კი ის სადაზღვევო კომპანია ფარავდა, რომელთანაც მედპერსონალს ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული. ამბულატორიის ექიმები დარიცხული 500 ლარიდან, არსებული წესდების ფარგლებში, პირველადი მოხმარების ნივთებს და მედიკამენტებს თავად იძენდნენ. აღსანიშნავია, რომ არ ხდებოდა არანაირი მონიტორინგი არც ჯანდაცვის სამინისტროს და არც სადაზღვევო კომპანიის მიერ, რა რაოდენობის მედიკამენტს ყიდულობდა ექიმი. გატარებული ხარჯები მხოლოდ საბუთებით ფასდებოდა.

რთული მდგომარეობაა ამბულატორიების შენობების კუთხით. უმეტეს შემთხვევაში, ამბულატორიები გამგეობის შენობაშია შეხიზნული. თემაზე მუშაობის პერიოდში, რამდენიმე სოფლის ამბულატორიის მუშაობის პროცესს ადგილზე გავეცანით.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ვინ შოულობს ფულს ქუთაისში პარკირებით?

გოგი წულაიას ბრალდებებს „პარკინგ ჰოლდინგი“ უარყოფს

იხილეთ მე-2 გვერდზე

პიროვნული დისკრედიტაცია თუ პედაგოგის არაპროფესიონალიზმი?

სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დავა, შესაძლოა, სასამართლოში გაგრძელდეს

იხილეთ მე-4 გვერდზე

კორუფცია განათლების სფეროში

იხილეთ მე-4 გვერდზე

„ეს მე მაგონებს ბერლინის კედელს“

იხილეთ მე-3 გვერდზე

ხალხის აზრი

უნდა აშენდეს თუ არა ხუდონჰესი?

„სააკაშვილის დროს „ოცნება“ იყო ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგი და ახლა თვითონ რატომ აშენებენ?!“

იხილეთ მე-7 გვერდზე

იქცევა თუ არა ქუთაისი მიკროავტობუსების ქალაქად და რა იმალება საქალაქო ავტობუსების მუნიციპალურ ტრანსპორტად გადაკეთების იდეის უკან?

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

არჩილ გამზარდია:

„რეალურად რომ ვთქვათ, პრეზიდენტობისთვის ბრძოლა არც კი მიმდინარეობს“

იხილეთ მე-5 გვერდზე

ირაკლი ბერძენაძე: „მსოფლიოში არ არსებობს ინვესტორი, რომელიც კაპიტალს დებს უკვე განწირულ პროექტში“

იხილეთ მე-9 გვერდზე

განსაკუთრებული აზრი — გვ. 5
განცხადებები — გვ. 11

PSnews.ge

ISSN 1987-7056

იქცევა თუ არა ქუთაისი მიკროავტობუსების ქალაქად და რა იმალება საქალაქო ავტობუსების მუნიციპალურ ტრანსპორტად გადაკეთების იდეის უკან?

ქუთაისში მალე საქალაქო ტრანსპორტის ნაწილი შესაძლოა, მუნიციპალურ ტრანსპორტად გადაკეთდეს. კერძო ბიზნესისთვის გაცემული ნებართვების ჩამორთმევის და საავტობუსო ხაზების ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში გადაცემის იდეა ქუთაისის ტრანსპორტის სამსახურს ეკუთვნის. სამსახურის უფროსის ნესტორ კეპულაძის განმარტებით, მუნიციპალური ტრანსპორტის არსებობის შემთხვევაში, ქალაქში ახალი ავტობუსები ივლიან და შესაძლოა, მგზავრობის ტარიფიც შემცირდეს.

„P.S.ფოტო“ (მარიამ პატარაია) ©

ქუთაისის მერიაში სატრანსპორტო სფეროში მასშტაბური ცვლილებების განხორციელების იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც, დაახლოებით, ერთი თვის წინ, ქუთაისის მერიასთან ავტობუსის მძღოლებმა გაფიცვა მოაწყვეს. გაფიცული მძღოლები ახალი მიკროსაავტობუსო ხაზის დანიშვნას და ტრანსპორტის სფეროში არსებულ მდგომარეობას აპროტესტებდნენ. ისინი მაშინ აცხადებდნენ, რომ ქალაქში ყველა ხაზს პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე გოჩა თევდორაძე აკონტროლებს, რომელსაც ქუთაისის მიკროსაავტობუსო ქალაქად გადაქცევა სურს.

ავტობუსების ორდღიანი გაფიცვის შემდეგ, რამაც ქალაქის რამდენიმე უბნის სრული პარალიზება გამოიწვია, ტრანსპორტის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ არ შეიძლება ქალაქი მუდმივად იყოს დამოკიდებული მძღოლების „ხუშტურებზე“. ზუსტად იგივე გაიმეორა კეპულაძემ ავტობუსების მუნიციპალურ ტრანსპორტად გადაკეთების იდეის გაჟღერების დროსაც. მან იმავე დღეს განაცხადა, რომ ახალი №57 მიკროავტობუსის დაბრუნება თავად მძღოლებმა მოითხოვეს, რის გამოც, კეპულაძემ ექსპერიმენტალური ხაზის აღდგენა არ გამორიცხა.

როგორ აპირებს ტრანსპორტის სამსახური იდეის რეალობად ქცევას?

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტის სამსახურში ინიციატივასთან დაკავშირებით დეტალური გეგმა, ჯერჯერობით, არ შეუმუშავებიათ, უკვე ცნობილია, რომ ცვლილება მხოლოდ რამდენიმე საავტობუსო ხაზს შეეხება და აღნიშნული იდეის განხორციელებას მინიმუმ 3 მილიონი ლარი დასჭირდება.

ქუთაისში სულ 9 საავტობუსო ხაზია. ხაზზე მუშაობის ნებართვის მოპოვება ტრანსპორტის სამსახურში გამოცხადებული ტენდერის გზით ხდება. ნებართვები კი კომპანიებისთვის რამდენიმეწლიანი ვადით გაიცემა.

შპს „სითი ლაინსა“ და „თეგეტა მოტორსი ქუთაისს“, რომელსაც საავტობუსო ხაზებზე გამოცხადებული ყველა ტენდერი აქვს მოგებული, 7 ხაზზე მუშაობის უფლება 2019 წლამდე აქვთ, დარჩენილ 2 ხაზზე კი სატენდერო პირობებით გათვალისწინებული ვადა მომავალ წელს იწურება. შესაბამისად, გამოდის, რომ მუნიციპალურ ტრანსპორტად გადაკეთება მინიმუმ 2 საავტობუსო ხაზს შეეხება, თუმცა, როგორც ტრანსპორტის სამსახურის უფროსი განმარტავს, ტენდერით გათვალისწინებული ვადა არ არის ამ ვადის ამოწურვამდე მუშაობის გარანტია, რადგან, მისი თქმით, სატენდერო პირობებში წერია, რომ ყველა შპს ვალდებულია, წელიწადში ერთხელ განაახლოს ავტოპარკი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახური იტოვებს უფლებას, მას ჩამოართვას ნებართვა და ხაზზე გამოაცხადოს ახალი ტენდერი.

როგორ დაარეგულირებს ტრანსპორტის სამსახური კერძო ბიზნესთან ურთიერთობებს სატენდერო პირობებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, სამსახურში, ჯერჯერობით, არ იციან.

„წინასწარ ვერ ვისაუბრებ ამ პროცესებზე, თუმცა, ფაქტია, რომ არავის უჩუქნია მათთვის ეს ხაზები და არც საგვარეულო შტოს წარმომადგენლები არიან, საუკუნეების მანძილზე რომ გადაყვეთ უფლებები. გარკვეული დროით აქვთ მოგებული ტენდერი. გარდა ამისა, სატენდერო პირობებში წერია გარკვევით, რომ თუ არ განაახლებენ ავტოპარკს, შეგვიძლია, ნებართვა ჩამოვართვათ. როდემდე უნდა იაროს ქალაქში დასკოჩილმა ავტობუსებმა? პირველ რიგში, ხალხის ინტერესებიდან გამოვდივართ, რომ კომფორტულად იმგზავრონ და, შესაძლოა, ტარიფმაც დაიწიოს,“ — ამბობს ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსი **ნესტორ კეპულაძე**.

შპს „სითი ლაინისა“ და „თეგეტა მოტორსი ქუთაისის“ ავტოპარკი ამჟამად 150 ერთეულ ავტობუსს ითვლის. ყოველდღიურად სვლაგეზზე 60-დან 65-მდე ავტობუსი გამოდის. კომპანიების დირექტორი ალეკო დვალიშვილი არ მალავს, რომ ავტობუსების დიდი ნაწილი ძველია, თუმცა, მისი თქმით, კომპანიები ახალი ავტობუსების ჩამოყვანას, ჯერჯერობით, არ აპირებენ, რადგან ტრანსპორტის სამსახურის გეგმების არ სჯერათ.

„ჩვენთვის აღარ რჩება ბაზარი. მიკროავტობუსებმა ჩაანაცვლა ყველაფერი. ეგ არის მაგათი მიზანი. ცოტა ხანში იმდენ ახალ ხაზს გახსნიან, ქაოსი შეიქმნება ქალაქში. საერთოდ უცოდინარი ხალხია. არანაირი გათვლები მაგათ არ აქვთ. ამ საქმეს სჭირდება ცოდნა და ფული, მაგათ კი არც ერთი არ აქვთ. სამი მილიონი როგორ ეყოფა ქალაქისთვის საჭირო რაოდენობის ავტობუსების ჩამოყვანას. მაგ ფასში 30 ავტობუსსაც ვერ იყიდიან, მაგრამ როგორც ვთქვი, აქ სხვა რამეშია საქმე. ეს არის კორუფციის გაგრძელება. მალე მიკროსაავტობუსო ქალაქად გადაიქცევა ქუთაისი,“ — ამბობს შპს „სითი ლაინისა“ და „თეგეტა მოტორსი ქუთაისის“ დირექტორი **ალეკო დვალიშვილი.**

რა მოხდება, თუ ქალაქს მუნიციპალური ტრანსპორტი ეყოლება?

იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში მოძრავი ავტობუსები კერძო პირის მფლობელობაში აღარ იქნება, მძღოლებს ადგილობრივი თვითმმართველობა საკუთარი სახსრებით დაიქირავებს და სტაბილურ ხელფასს დაუნიშნავს. ასეთ შემთხვევაში მძღოლს პრეტენზიის გამოხატვის საფუძველი მომსახურების ტარიფთან თუ ახალი ხაზის გახსნასთან დაკავშირებით აღარ ექნება. შესაბამისად, ტრანსპორტის სამსახური, რომელსაც კერძო ბიზნესის პირობებში, ავტობუსების მძღოლებსა და მათ გადამზიდავ კომპანიებზე ზემოქმედების ბერკეტები არ გააჩნია, მუნიციპალური ტრანსპორტის არსებობის შემთხვევაში თავიდან აიცილებს ისეთ ფორსმაჟორულ ვითარებას, რომელსაც ნესტორ კეპულაძე მძღოლების „ხუშტურს“ უწოდებს.

როდის დაიწყება საავტობუსო ხაზების მუნიციპალურ ტრანსპორტად გადაკეთების პროცესი, ჯერჯერობით, უცნობია. როგორც სამსახურში ამბობენ, იდეა შემუშავების პროცესშია და დეტალური გეგმის ჩამოსაყალიბებლად ეკონომისტებთან და იურისტებთან კონსულტაციაა საჭირო.

მარიამ პატარაია

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
ჟანა ჯანელიძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

ვინ შოულობს ფულს ქუთაისში პარკირებით?

გოგი წულაიას ბრალდებებს „პარკინგ ჰოლდინგი“ უარყოფს

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის წევრები ქუთაისში პარკირების სისტემის მუშაობას აპროტესტებენ.

პარტიის იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, გოგი წულაიას განცხადებით, ქუთაისში პარკირების კორუფციული სქემა მოქმედებს და ფულის კეთების საუკეთესო საშუალებადაა ქცეული. მისივე თქმით, ქალაქის მასშტაბით არსებულ პარკირებებზე თანხა უკანონოდ იკრიბება. სწორედ ამიტომ პარტიის წევრებმა ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე ავტომობილების მფლობელებისთვის საინფორმაციო-გამაფრთხილებელი აქცია გამართეს და მძღოლებს მოუწოდეს, ავტოპარკირებისთვის თანხა არ გადაიხადონ.

გოგო წულაია აღნიშნავს, რომ მერიასა და კერძო კომპანიებს შორის (რომლებიც ქალაქში პარკირების ადგილებზე კონტროლს აწარმოებენ) გაფორმებულ ხელშეკრულებებს ვადა აქვს გასული და მძღოლებისგან თანხები უკანონოდ იკრიბება, რისთვისაც პასუხი არა კომპანიის მფლობელებს, არამედ ფულის ამკრებებს, ე.წ. „სტაიანშიკებს“ მოეკითხებათ. „ეს არის კორუფციული სქემა, მძღოლებისგან აკრებილი 30 თეთრით, საშუალოდ, 10 000 ლარი გროვდება,“ — აღნიშნავს წულაია. მისივე თქმით, ქუთაისის საკრებულოში აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ფლობენ, თუმცა, რეაგირებას არ ახდენენ, რადგან მხოლოდ პირადი ინტერესებით არიან დაკავებულნი. წულაიამ ასევე აღნიშნა, რომ მის განცხადებას პარკირებების უკანონოდ მუშაობის შესახებ ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ თოფურიძე გამოეხმაურა და დაადასტურა, რომ წლების წინ გამოცხადებულ ტენდერებზე გაფორმებულ ხელშეკრულებებს ვადა აქვთ გასული.

გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ პარკირების ადგილზე მომუშავე ე.წ. ფულის ამკრებებს გაესაუბრა, როგორც მათ ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, შეგროვებული ფული ეტაპობრივად ბანკში შეაქვთ, გამომუშავებული თანხიდან 15-20 სამუშაო დღეში, საშუალოდ, 50 ლარს იღებენ. მათ განცხადებებს არ ეთანხმება შპს „პარკინგ ჰოლდინგის“ დირექტორი გოდერძი ქასრაშვილი, როგორც მან აღნიშნა, თანამშრომლები, საშუალოდ, 200 ლარს იღებენ.

ქასრაშვილი პარტია „თავისუფალის საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის წევრების და მერის მოვალეობის შემსრულებლის, თენგიზ თოფურიძის ბრალდებებსაც არ ეთანხმება. როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, კომპანია მუშაობას კანონის შესაბამისად აგრძელებს.

„ტენდერი ექვსი წლის წინ გამოცხადდა და 10 ლოტიდან ჩვენ 3 მოვიგეთ, შესაბამისად, ქალაქის მასშტაბით 10 ქუჩაზე არსებულ პარკირების ადგილს ვაკონტროლებთ, ეს მოწესრიგებული სისტემაა, ბიუჯეტში შეგვაქვს ფული თვეში, დაახლოებით, 5000 ლარი. რამდენიმე ათეული გაჭირვებული დავასაქმეთ. სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის შესაბამისად, „იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესი, ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტის ვადის გასვლით. სადაც ვკითხულობთ: ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, თუ დამქირავებელი, ანუ ჩვენ, ვსარგებლობთ ნივთით ვადის გასვლის შემდეგაც, და გამქირავებელი, ამ შემთხვევაში მერია, ამაზე არ გვედავება, მაშინ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით განახლდება. სწორედ იმიტომ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას არანაირი პრეტენზია არ ჰქონია, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას კანონიერად, რაც, როგორც ჩანს, არ არის ცნობილი ბატონი წულაიასთვის,“ — აღნიშნა **გოდერძი ქასრაშვილმა**.

მისივე განცხადებით, საკრებულომ უკვე მიიღო დადგენილება პარკირების ადგილებისთვის ხელახალი ტენდერის გამოცხადების შესახებ, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, შპს „პარკინგ ჰოლდინგი“ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას პარკირების სისტემაში არსებული სირთულეების გამო აღარ მიიღებს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ ბაზარზე ყოფნის ვადებში მოახდინოს პარკირების ადგილების შესაბამისი საღებავებით დახაზვა, რაც სისტემას კიდევ უფრო მოხერხებულს გახდის.

ნესტან ჩაგელიშვილი

„ეს მე მაგონებს ბერლინის კედელს“

დიცსა და დვანში რუსების მიერ აღმართული ბარიერები საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატებმა მოინახულეს. „ეს მე მაგონებს ბერლინის კედელს“ — ასე შეაფასა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რუსების მიერ აღმართული მავთულხლართები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ვიზიტის დროს. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ქეთრინ ეშტონის განცხადებით კი, რუსეთის ასეთი ქმედება საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. როგორც საქართველოს მთავრობის წევრები აცხადებენ, ისინი ყველაფერს აკეთებენ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებისათვის, თუმცა, რუსეთთან ომს ვერ დაიწყებენ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, ელჩების ვიზიტი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ იმის დასტურია, რომ მსოფლიო ოკუპაციას ეუბნება — არას. ამის შესახებ ქეთევან ციხელაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, როდესაც ელჩები და მთავრობის წარმომადგენლები სოფელ ხურვალეთში იმყოფებოდნენ. „ჩვენ ახლა მავთულხლართებთან ვდგავართ, რაც არის ერთ-ერთი სამარცხვინო ფორმა ოკუპაციის გაგრძელების, რომელიც ცხინვალის მიმართულებით ასე გამოიყურება, აფხაზეთის მიმართულებით ამას მიწათხრილებისა და კედლების ფორმა აქვს,“ — განაცხადა **ქეთევან ციხელაშვილმა**.

მისივე თქმით, მავთულხლართები მიუღებელი ფორმაა, მითუმეტეს 21-ე საუკუნეში.

„ამ მავთულხლართების უკან ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც ცხოვრება გაურთულდათ, საკუთარი კარ-მიდამო გაუყვეს ორად და ეს არანაირ ნორმაში არ ჯდება. მადლობას ვეუბნები ელჩებს თანადგომისათვის, ეს იმის ნიშანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს გვიჭერს,“ — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, ელჩებმა საკუთარი თვალით ნახონ ადგილზე შექმილი ვითარება, რადგან ჩვენ ეს დაგვეხმარება საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული მცდელობების კონსოლიდაციაში.

„თქვენ მოწმე გახდით იმისა, თუ როგორ არის სახლები გაყოფილი, როგორ არის მავთულხლართებს იქეთ დარჩენილი მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელთაც არ ეძლევათ საშუალება საკუთარი სალოცავების, საფლავების მონახულების, ადამიანური განზომილებიდან ეს მართლაც დაუშვებელია. 21-ე საუკუნეში ისეთი ფუნდამენტური უფლება, როგორიც არის თავისუფალი გადაადგილების უფლება, შეიძლება ირღვეოდეს და საერთაშორისო თანამეგობრობამ ხმა უნდა ამოიღოს ამის წინააღმდეგ,“ — განაცხადა **ზალკალიანმა**.

მისივე თქმით, ელჩებს უნდა მიეწოდოთ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია, რომ შემდეგ თითოეულმა მათგანმა ეს ინფორმაცია თავიანთ დედაქალაქებს მიაწოდონ. აღსანიშნავია, რომ ხურვალეთისგან განსხვავებით, დიცში, საოკუპაციო ზოლთან მავთულხლართების ნაცვლად კაპიტალური ღობეებია აღმართული. ღობის იქით არ შეინიშნებოდა რუსი ოკუპანტების არანაირი აქტივობა, მხოლოდ ცოტა ხნით გამოჩნდა ორი მესაზღვრე, რომელიც თავდაპირველად ე.წ. საზღვარზე გავლებული ღობისკენ გაემართნენ, თუმცა მალევე უკან დაბრუნდნენ.

ეს გავს ბერლინის კედელს...

ვითარება, რასაც ჩვენ ვხედავთ, ტრაგიკულია — განაცხადა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა სოფელ ხურვალეთში დიპლომატებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების სტუმრობისას.

„მე ეს მაგონებს ბერლინის კედელს, როდესაც ხელოვნურად აღმართული ბარიერებით ხდება ხელის შეშლა, ადამიანები ვერ ახერხებენ თავის მინდვრებზე და თავის წინაპრების საფლავებზე გასვლას. ჟენევის მოლაპარაკებების პარალელურად, აქ ხალხს თავისუფალი გადაადგილების საშუალება უნდა ჰქონდეს,“ — განაცხადა **რიჩარდ ნორლანდმა**.

ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის წარმომადგენლები, 30 სექტემბერს საქართველოში სტუმრობისას, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას სტუმრობდნენ. ამის შემდეგ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციას მოუწოდა, მოეხსნა ეს ბარიერები.

„რუსეთის უშიშროების ძალების მიერ საქართველოში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების შორის არსებული ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ღობეებისა და სხვა დაბრკოლებების აღმართვის მიზნით საქმიანობის გაგრძელებასა და გააქტიურებაზე ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი დიდ შეშფოთებას გამოთქვამს. ეს საქმიანობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არღვევს, მნიშვნელოვან სირთულეებს მოსახლეობას უქმნის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ორივე მხარეს და წარმოშობს სერიოზულ გამოწვევას სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის ამ რეგიონებში,“ — ნათქვამია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის **კეტრინ ეშტონის** განცხადებაში.

„დიპლომატიურ კორპუსმა გადაწყვიტა, ადგილზე ნახოს და შეამოწმოს ეს ყველაფერი, რადგან ეს არის ქმედება, რომელიც ხალხს გადაადგილებას უკრძალავს და ერთამენთს აშორებს, მავთულხლართების გავლებით ადგილობრივი მაცხოვრებლების საკუთრების უფლება ირღვევა, გვინდა, ყველაფერი ვნახოთ და შევამოწმოთ, რომ უკეთ გავიგოთ რა ხდება,“ — აღნიშნა ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **ივან იესტრჟაბმა.**

ჩვენ ომს ვერ დავიწყებთ

როგორც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა და ამავე დროს, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ დიცის და დვანის მოვლენების შეფასებისას განაცხადა, ეს მოვლენები ახლა არ დაწყებულა და ეს წინა ხელისუფლების უაზრო ქმედებების შედეგია.

„მთავრობა ყველაფერს ხედავს და აკეთებს იმისთვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსი მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს. ეს ახლა არ დაწყებულა, ეს წინა ხელისუფლების უაზრო ქმედებების შედეგია. ჩვენ ომს ვერ დავიწყებთ. ძალიან მტკივნეულია ეს ყველაფერი. რთულია იმ პროცესების ყურება, რაც ხდება. ადამიანები საკუთარი ხელით აშენებულ სახლებს ანგრევენ, მაგრამ მთავრობა მაქსიმალურად გვერდში დაუდგება მათ. ყოველთვის ვამბობთ, რომ პოლიტიკური ურთიერთობების დალაგება ძალიან რთული იქნება,“ — განაცხადა **კახა კალაძემ**. მისივე თქმით, ხელისუფლება ქვეყნის ერთიანობაზე უარს არასდროს იტყვის.

„არასდროს ვიტყვით უარს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც 1990-იან წლებში დავკარგეთ და იმ მიწებზე, რომლებიც სააკაშვილმა დაკარგა. ყველაფერს გავაკეთებთ ქვეყნის გაერთიანებისთვის, თუმცა, მოსახლეობას ვერ მოვატყუებთ და უნდა ვთქვათ, რომ ეს პრობლემა დღეს და ხვალ ვერ გადაწყდება,“ — აღნიშნა კალაძემ.

კულტურის ყოფილი მინისტრის ნიკა რურუას განცხადებით კი, ის რაც ხდება დიცსა და დვანში დრევანდელი ხელისუფლების უნიათობის ბრალია. ამის თაობაზე მან „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი რუსეთზე საერთაშორისო ზეწოლაა.

„ის, რაც ქვეყანაში ხდება, იმ უნიათო პოლიტიკის ბრალია, რომელსაც ეს ხელისუფლება ატარებს, მათ რუსეთს ყველა შეზღუდვა და საერთაშორისო ზეწოლა მოუხსნეს, ეს არასწორი პოლიტიკაა, რომ ჩვენ დასავლეთის გარეშეც შევძლებთ რუსებთან ურთიერთობის მოგვარებას. ვიდრე საქართველო ნატო-ში არ შევა, ჩვენ ეს პრობლემები მუდმივად გვექნება. რუსეთი ამ ყველაფერს წინა პერიოდებში ვერ ბედავდა, ისინი ყველანაირად ცდილობენ დაგვიმორჩილონ, მათთან საუბრები უარეს შედეგს იღებს. საუბედუროდ, რუსეთს აქვს ისეთი პოლიტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვით, მისი ყველა მეზობელი სახელმწიფო სუსტი და დაუცველი უნდა იყოს, რომ თვითონ იყოს დაცული,“ — განაცხადა **ნიკა რურუამ.**

რატომ არ ჩავიდა პრემიერი დიცსა და დვანში...

ოპონენტების ერთ-ერთი პრეტენზია დღევანდელი ხელისუფლების მისამართით ისიც იყო, რომ მაღალი რანგის პირებს საოკუპაციო ზოლზე აღმართული ბარიერები და ამით დაზარალებული ქართული მოსახლეობა არ მოუნახულებიათ. როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, პრემიერმა რომ მოახერხოს, ყოველთვის ყველგან მივიდეს და ყველას დაწყნარება შეძლოს, რთულია.

„ცუდი არ იქნებოდა, ეს არ იქნებოდა ზედმეტი. არაფერს არ გააფუჭებდა, თუ დამატებით პოზიტივს არ მოიტანდა. გაჭირვებულები ჩვენდა საუბედუროდ არ არიან მხოლოდ დიცში. გაჭირვებულები არიან ყველა კუთხე-კუნჭულში. ცუდი არ იქნებოდა იქ ჩასვლა, მაგრამ თქვენ ერთი რამ გავიწყდებათ და ერთ რამეს ვერ აფასებთ — რამდენი საქმე გვაქვს. რამდენ ადამიანს სჭირდება დამშვიდება და დაწყნარება თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ. ათასობით არიან ასეთი ადამიანები. თქვენ რა გინდათ, რომ ყველა ოჯახში ცალკ-ცალკე ვიარო და ვაწყნარო ისინი? ცუდი არ იქნებოდა, კარგი იქნებოდა ჩემი ჩასვლა არა მანდ, არამედ იქ, სადაც ხალხს უჭირს. ეს რომ ვაკეთო მხოლოდ გზაში ვიქნებოდი მთელი დროის განმავლობაში, იმდენი გაჭირვებული გვყავს. მე ათასად ვერ გავიჭრები,“ — აღნიშნა **ივანიშვილმა** ტელეკომპანიების საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელებსა და თოქშოუების წამყვანებთან შეხვედრისას.

პრემიერის მხრიდან დიცისა და დვანის მოსახლეობის პრობლემების შედარება ქვეყანაში არსებულ სხვა „გაჭირვებულებთან“ ღირებულებების პრობლემად შეაფასა „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორმა სერგი კაპანაძემ.

„მას აქვს ღირებულებების პრობლემა. არ ესმის, რომ დიცის და დვანის მოსახლეობის გვერდზე დადგომის შედარება ქვეყანაში არსებულ სხვა პრობლემებთან და „გაჭირვებულებთან“, როგორც მინიმუმ, მორალური არ არის. მას არ სჯერა ევროპული ღირებულებების და ევროკავშირში ინტეგრაციის. მისთვის, როგორც ჩანს, ევროპული ინტეგრაცია და ნატო უფრო პრაგმატული გათვლაა, ვიდრე ღირებულება,“ — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ და ამჟამად „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორმა **სერგი კაპანაძემ** სოციალურ ქსელ facebook-ის საკუთარ გვერდზე.

ცოტნე პაატაშვილი

ბაჩო ახალაია სოზარ სუბარის დასჯას ითხოვს

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ექსკლუზიურად მოიპოვა და გაავრცელა ვიდეომასალა, რომელიც გადაღებულია №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საკანში. ვიდეომასალა შეიცავს ბრალდებულის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ კადრებს, ციხეების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრ ჟურნალისტებთან, დეპუტატ აკაკი მინაშვილთან შეხვედრებს და მათთან გასაუბრებას.

ვიდეომასალა რამდენიმესაათიანია და 2012 წლის ნოემბერშია ჩაწერილი. კადრებში ჩანს, რომ სხვადასხვა დროს ბაჩო ახალაია საკანში მოინახულეს და გამოკითხეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა გელა მთივლიშვილმა, ნინო ზურიაშვილმა და ზურაბ ვარდიაშვილმა. გადაღებულია ასევე ახალაიას და „ნაციონალური მოძრაობიდან“ პარლამენტის წევრის აკაკი მინაშვილის შეხვედრები, რომელიც ციხეში ახალაიას სანახავად პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის სპეციალური ბრძანების საფუძველზე შედიოდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ოფიციალური განცხადების თანახმად, მედიასაშუალებებით გავრცელებული ჩანაწერი 2012 წლის ნოემბერშია გაკეთებული. 2012 წლის 14 ნოემბერს მინისტრმა სოზარ სუბარმა საჯაროდ განაცხადა, რომ ბრალდებულ ახალაიას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საკანში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა და ბრალდებული ამის შესახებ ინფორმირებული იყო. ამავე პერიოდში მას საშუალება ჰქონდა, მნახველებს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში შეხვედროდა, სადაც ელექტრონული მეთვალყურეობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ვიზუალური კონტროლით. სასჯელაღსრულების სამინისტრო ამბობს, რომ პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა არის კანონიერი, ხოლო რაც შეეხება ვიდეოჩანაწერის გავრცელებას, სათანადო რეაგირებისათვის მასალები გადაეგზავნება პროკურატურას.

„ბრალდებულ ბაჩანა ახალაიაზე ელექტრონული მეთვალყურეობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 13 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე მიმდინარეობდა. აღნიშნულის თაობაზე შედგა სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ბრალდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ იგი ინფორმირებული იყო და თანხმობა დადასტურებულია მისი ხელმოწერით,“ — ნათქვამია სასჯელაღსრულების უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„საინტერესოა, რომელ სამართლებრივ აქტს ეყრდნობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში იწერს ხმას ბაჩო ახალაიას საკანში. აქ დგება პრობლემა იმასთან დაკავშირებით თუ რომელ ნორმას ეყრდნობა დეპარტამენტი, როდესაც ხმას იწერს საკანში. ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. საინტერესოა, მოსამართლის ბრძანება არსებობს, რომ ახალაიას საკანში მიყურადება განხორციელდეს? თუ არსებობს მსგავსი ბრძანება, მაშინ უნდა გამოაქვეყნონ,“ – აცხადებს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ თავმჯდომარე, გიორგი ტუღუში.

გაგრძელება **მე-10 გვერდზე**

პიროვნული დისკრედიტაცია თუ პედაგოგის არაპროფესიონალიზმი?

სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დავა, შესაძლოა, სასამართლოში გაგრძელდეს

№15 საჯარო სკოლის დირექტორსა და პედაგოგს შორის ორი წლის წინ დაწყებული დავა დღემდე გრძელდება. მარინე მიქაბერიძე დირექტორს, ლია კუხიანიძეს პიროვნულ დისკრედიტაციასა და სადამრიგებლო კლასის ჩამორთმევაში ადანაშაულებს. მიქაბერიძე, რომელმაც კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე, განათლების სისტემის ყველა ინსტანციას მიმართა და სკოლიდან ლია კუხიანიძის განთავისუფლება რამდენჯერმე მოითხოვა, ამბობს, რომ სკოლაში მანამდე არ დაბრუნდება, ვიდრე კუხიანიძე თანამდებობას ინარჩუნებს.

„P.S.ფოტო" (მარიამ პატარაია) ©

მარინე მიქაბერიძე

„P.S.ფოტო" (მარიამ პატარაია) ©

ლია კუხიანიძე

თავის მხრივ, მიქაბერიძის ბრალდებებს უსაფუძვლოს და პროვოკაციულს უწოდებენ №15 საჯარო სკოლაში. სკოლის დირექტორი ამბობს, რომ მიქაბერიძე მიზანმიმართულად ახორციელებს ცილისწამებას მისი მისამართით და ქმნის სკოლაში კონფლიქტის იმიტაციას.

დირექტორსა და პედაგოგს შორის პიროვნულმა დაპირისპირებამ, რომელშიც ჩართულია არა მხოლოდ ქუთაისის ადგილობრივი რესურსცენტრი, არამედ განათლების სამინისტროც, შესაძლოა, სასამართლოში გადაინაცვლოს. ლია კუხიანიძე აცხადებს, რომ ის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მარინე მიქაბერიძის წინააღმდეგ სასამართლოში საჩივრის შეტანას არ გამორიცხავს.

როგორც ირკვევა, ისტორიის პედაგოგსა და სკოლის დირექტორს შორის დაპირისპირება ორი წლის წინ, №15 და №27 საჯარო სკოლების შეერთების შემდეგ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კუხიანიძე კონფლიქტის დაწყების დროდ სკოლების შეერთების მომენტს არ ასახელებს, ფაქტები ცხადყოფს, რომ 2012 წელს მათი ურთიერთობა უკვე გამწვავებული იყო, კერძოდ, 2012 წლის კათედრის სხდომას პედაგოგი მარინე მიქაბერიძე არ ესწრებოდა, რის მიზეზადაც იგი სხდომის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის არქონას ასახელებს და სატელეფონო ზარების იმ ამონაწერს გვაჩვენებს, რომელიც სხდომის დანიშვნიდან რამდენიმე დღით ადრე არის დაფიქსირებული. მიქაბერიძე ამბობს, რომ მას შეგნებულად არ დაურეკეს და სხდომის გამართვის თარიღი არ აცნობეს. კიდევ ერთი სხდომის ოქმში კი, რომელიც მომდევნო წელს, 2013 წლის 5 სექტემბერს გაიმართა, მარინე მიქაბერიძის მისამართით გამოთქმულია შენიშვნა, დირექციასა და კათედრის წევრებს შორის მისი მხრიდან კომუნიკაციის არარსებობის გამო.

აღნიშნული კათედრის სხდომაზე, რომელმაც კუხიანიძესა და მიქაბერიძეს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა, ისტორიის პედაგოგს აკადემიური საათების გადანაწილების შედეგად მხოლოდ 9 საათი შეხვდა. მაშინ, როცა, ორმა პედაგოგმა 18-18 საათი მიიღო. ისტორიის კიდევ ერთმა მასწავლებელმა ვახტანგ სვანაძემ კი საათების სიმცირის გამო სკოლა დატოვა.

რატომ შეხვდა სამ სერთიფიცირებულ პედაგოგს საათების განსხვავებული რაოდენობა, ამ შეკითხვაზე სკოლის დირექტორი პასუხობს, რომ კათედრის სხდომაზე ჯერ კიდევ არ იყო დადასტურებული ინფორმაცია მიქაბერიძის მიერ სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ. აქედან გამომდინარე, ორ მასწავლებელს, როგორც სერთიფიცირებულ პედაგოგებს, კანონის მიხედვით მიეცა 18-18 საათი და რადგან ისტორიაში მხოლოდ 45 საათი არსებობს, მიქაბერიძეს ლოგიკურად დარჩა 9 საათი.

კათედრის სხდომის ოქმში კი წერია:

„მარინე, თქვენ არ წარმოგიდგენიათ მე-8 კლასებში საგნობრივი–თემატური გეგმა. სრულყოფილი არ იყო არც მე-4 კლასის გეგმა. მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, არ ესწრებოდით კათედრის არცერთ სხდომას. არასწორად გყავდათ შეფასებული მე-8 კლასის მოსწავლეები წლის ბოლოს, რამაც გამოიწვია მშობელთა პროტესტი. იმის გამო, რომ ვერ მართავდით კლასს, დატოვეთ იგი, მაშინ, როცა დირექციას ედავებოდით საათების სიმცირის გამო. რატომ გამოდის თქვენი კლასიდან არასაგაკვეთილო ხმაური? ამ ყველაფრის შემდეგ არ არის დოგმა, რომ ასეთი სერთიფიცირებული მასწავლებელი სრულად იყოს დატვირთული საათებით," — ნათქვამია სხდომის ოქმში.

იმ ცხრა საათის ჩატარებაზე, რომელიც მიქაბერიძეს სხდომის შედეგად გამოეყო, პედაგოგი უარს ამბობს. იგი არ ცხადდება სკოლაში, რის გამოც როგორც სკოლის დირექცია ამბობს, არაერთხელ შეიცვალა მოსწავლეთა ცხრილი და მასწავლებლები მონაცვლეობით ატარებენ მიქაბერიძისთვის განკუთვნილ საათებს. მათივე თქმით, მიქაბერიძეს სისტემატური გაცდენის მიზეზი ოფიციალურად არ განუმარტავს და მხოლოდ დედამისმა სატელეფონო საუბრისას განუცხადა, რომ იგი სკოლაში ჯანმრთელობის პრობლემების გამო არ დადის. თავად მიქაბერიძე კი, რომელმაც გასულ კვირას დირექტორის გათავისუფლების მოთხოვნით კიდევ ერთი ბრიფინგი გამართა, ამბობს, რომ სკოლაში მისვლას კუხიანიძის დირექტორის პოსტიდან გათავისუფლებამდე არ აპირებს.

„მე ვარ სერთიფიცირებული პედაგოგი და სრული უფლება მაქვს არამარტო შევიდე კლასში, არამედ, მყავდეს სადამრიგებლოც, მაგრამ ლია კუხიანიძემ ჩემთან პიროვნული დაპირისპირების გამო ჩამომართვა სადამრიგებლო კლასიც და წამართვა საათებიც. მე მანამდე არ მივალ სკოლაში, სანამ კუხიანიძეს არ გაუშვებენ," — აცხადებს **მარინე მიქაბერიძე.**

თავად კუხიანიძე კი, რომელიც პედაგოგის მიმართ პიროვნულ დისკრედიტაციას გამორიცხავს, ამბობს, რომ მიქაბერიძე მისთვის გაურკვეველი მიზეზების გამო გამუდმებით ცილს სწამებს.

„მიქაბერიძეს, რომელიც არ ცხადდება სკოლაში და შლის სასწავლო პროცესს, ამოძრავებს ერთადერთი მიზანი – შემოიტანოს სკოლაში არეულობა და შექმნას კონფლიქტის იმიტაცია. იგი გამუდმებით არღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს და სახელს უტეხს სკოლას. აქედან გამომდინარე, მე არ გამოვრიცხავ, რომ მივმართო სასამართლოს და მოვითხოვო არა მხოლოდ ჩემი მხრიდან განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაციების წარმოდგენა, არამედ, მორალური ზიანის ანაზღაურებაც," — აცხადებს №15 საჯარო სკოლის დირექტორი **ლია კუხიანიძე.**

მანამდე კი, ვიდრე დავა სასამართლოში გადაინაცვლებს, სკოლის სისტემატური გაცდენისა და სასწავლო პროცესის ჩაშლის გამო, შრომის კოდექსისა და №15 საჯარო სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე, მარინე მიქაბერიძის მიმართ, შესაძლოა, გაფრთხილება, საყვედური ან სხვა ღონისძიება გატარდეს.

მარიამ პატარაია

კორუფცია განათლების სფეროში

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობამ" გამოაქვეყნა განათლების შესახებ გლობალური კორუფციის ანგარიში. მასში ერთი თავი საქართველოსაც ეთმობა, კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ საგამოცდო რეფორმა, ძირითადად, პოზიტიურად არის შეფასებული, ანგარიშში გარკვეული კორუფციული გარიგების ალბათობაზეც მიუთითებენ.



რამდენად თავისუფალია საქართველოში განათლების სფერო კორუფციისგან და სად გვხვდება კიდევ კორუფციის ნიშნები? განათლების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობის" გლობალური კორუფციის ანგარიშში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განათლების სფეროში კორუფციის დონის შესახებ მსჯელობაა. ანგარიში სხვადასხვა ქვეყანაში მომუშავე იმ მკვლევართა ანალიზის ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც, თავის მხრივ, განათლების ექსპერტთა და სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლების ინტერვიუების გზით მიღებულ მონაცემებს ამუშავებდნენ. ანგარიშში საქართველოს ერთი თავი ეძღვნება, სადაც საუბარი 2005 წლიდან შემოღებულ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემას შეეხება. დამოუკიდებელი მკვლევარი მარიამ გაბედავა, რომელმაც საქართველოს შესახებ თავი მოამზადა, პროცესს, მთლიანობაში, მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენიებს, თუმცა მთავარ მიგნებად მკვლევარი ასახელებს იმას, რომ კორუფციის ალბათობა ჩნდება არა უშუალოდ საგამოცდო პროცესში, არამედ მანამდე. ამ სქემაში კი ის ადამიანები არიან ჩართულები, რომლებიც უშუალოდ საგამოცდო ტესტებზე მუშაობენ:

„როდესაც ვმუშაობდი, ეს ინტერვიუებშიც გამოიკვეთა, რომ ყველაზე მაღალანაზღაურებადი რეპეტიტორები არიან ის პირები, რომლებიც უშუალოდ ამ ტესტების მომზადების პროცესში მონაწილეობენ. იყო საუბარი, რომ ეს დიდი ინფორმაცია, რომელიც გამოცდებზე იქნებოდა გამოყენებული, ამ ადამიანებისთვის ზუსტად იყო ცნობილი. თუმცა, ისინი ზუსტად ვერ უზრუნველყოფდნენ, რომ რაიმე კონკრეტული შეკითხვა მოსვლოდა მათ მიერ მომზადებულ პირს".

ამის ალბათობას გამორიცხავს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი და ანგარიშში მოყვანილ ინფორმაციას, რომ ტესტების ავტორები თავად არიან რეპეტიტორები, ფაქტობრივ შეცდომად მიიჩნევს, ვინაიდან ამ ადამიანებს ხელი აქვთ მოწერილი მემორანდუმზე და ეკრძალებათ აბიტურიენტებთან ურთიერთობა. მაია მიმინოშვილი ტესტების გამსწორებელთა შესაძლო რეპეტიტორობას არ გამორიცხავს, თუმცა აქაც, მისი სიტყვებით, მუშაობს სისტემა, რომელიც რაიმე სახის მიკერძოებულობას შეუძლებელს ხდის. ტესტს სამი სხვადასხვა გამსწორებელი ამოწმებს და თითოეული მათგანი სრულად ტესტს ვერ ხედავს, ისინი ნაწილ-ნაწილ ხედავენ მას.

„ბუნებრივია, თავიდან ვერ ავიცილებთ იმას, რომ შესაძლოა რომელიმე ჯგუფის წევრის ნათესავი იყო აბიტურიენტი რომელიღაც კონკრეტულ წელიწადს. აი, ამ წელიწადს ჯგუფის წევრი ეს თანამშრომელი ერთი წლით არის გათავისუფლებული სამსახურიდან, ასე ვთქვათ, უხელფასო შვებულებაში და ის იმ წელიწადს არ მონაწილეობს ტესტების დავალებების შექმნაში".

საგანმანათლებლო სფეროში კორუფციის არა, მაგრამ ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობას ხედავს „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების სპეციალისტი თამარ მოსიაშვილი. მისი სიტყვებით, როცა საგანმანათლებლო სისტემაში არის ძალიან ბევრი გამოცდა და მათი მნიშვნელობა გაზვიადებულია და, ამასთან, სკოლის როლი საგანმანათლებლო სისტემაში — შემცირებული, ჩნდება ძლიერი სარეპეტიტორო ინსტიტუტი.

„თუ ჩვენ გვინდა, ერთი მხრივ, სარეპეტიტორო სკოლის შესუსტება და, მეორე მხრივ, სკოლების გაძლიერება, ამ რაოდენობის გამოცდები პრაქტიკულად ზრდის კორუფციის რისკს, ზრდის სარეპეტიტორო ინსტიტუტს და ასუსტებს სკოლას..."

„სარეპეტიტორო ინსტიტუტზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა კი იწვევს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უთანაბრო სისტემის ჩამოყალიბებას, რაც განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ოჯახის პრობლემას წარმოადგენს," — ამბობს თამარ მოსიაშვილი. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის სიტყვებით, სკოლა უნდა უწევდეს კონკურენციას რეპეტიტორობის ინსტიტუტს. ამ შესაძლებლობას გააჩენს არა ახალი საგამოცდო სისტემები, არამედ თავად სასკოლო განათლების რეფორმა. მისი სიტყვებით, სკოლა დღეს განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი სუსტი რგოლია და მისი გაუმჯობესებისათვის განათლების სამინისტრო სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აპირებს. და ბოლოს, „საერთაშორისო გამჭვირვალობის" განათლების შესახებ გლობალური კორუფციის ანგარიშის მთავარი რედაქტორი გერეთ სუინი ამბობს, რომ საგანმანათლებლო სისტემიდან კორუფციის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი მშობელს აკისრია - იმას, რომ მშობელი გაცილებით მეტად იყოს ჩართული საგანმანათლებლო სისტემაში.

ნინო ხარაძე
რადიო „თავისუფლება"

განსაკუთრებული აზრი

დამჯერე-მარიონეტი ბიჭები ისევ აკაკანდნენ:

„მორატორიუმი უნდა მოვხსნათ მიწის უცხოელებზე გაყიდვაზე, განუკითხავად უნდა გავყიდოთ ყველაფერი, თორემ, —

დემურ გიორხელიძე

არიქა (?!), ინვესტორები უარს ამბობენ საქართველოში ფულის ჩადებაზეო! ჯერ მიწა — მერე ინვესტიციებიო!? (ესენი ინვესტორები კი არა, დედა...ლი ოსტაპ ბენდერები არიან და მათი ადგილი არ არის საქართველოში). აშშ-ს ელჩი ნორლანდიც რომ „წაეხმარათ" — ეს მენტორი!

ტყუილი!

სად არსებობს ნორმალური ქვეყანა, მიწას უცხოელი თავისუფლად ყიდულობდეს! აშშ-ში უცხოელებზე (ძირითადად ინგლისელებზე და სხვა დასავლელ-ევროპელებზე) გაყიდულია მხოლოდ მიწის 1%. 62%-ზე მეტი მიწა აშშ-ში სახელმწიფოს ხელშია!

მაპატიეთ და... რას „გვადურაკებენ?!"

ეს მახინჯი და მავნებლური ინიციატივები თანადაფინანსების ფონდის პრეზენტაციის დღეს გაისმა ენერგიულად და ფონდის საქმიანობის დაწყებას დაუკავშირდა!

გახვრეტილ შაურად არ ღირს ეს ფონდი, თუ მის საქმიანობას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების განუკითხავად გაყიდვა მოჰყვება. საქართველოს გაღარიბებულ მოსახლეობას არ შესწევს უნარი შეისყიდოს საკუთარი ქვეყნის მიწები, — ერთ-ერთი მიზანი, ჩვენი ხალხის ხელოვნურად დაძაბუნებისა და გაღარიბებისა სწორედ ეს იყო — საკუთარ ქვეყანაზე დააკარგვინონ კონტროლი!

საქართველოს პარლამენტის წევრებს მართებთ ელემენტარული პასუხისმგებლობის გამოჩენა... თუ არ უნდათ დედადაწყევლილ და დედააფეთქებულ ადამიანებად იქცნენ, რომლებსაც პასუხი აუცილებლად მოეთხოვებათ და... ძალიან მკაცრადაც!

სწორი და ცივილიზებული რეგულაციები და შეზღუდვები ამ მიმართულებით აუცილებელია. ასეთ შეზღუდვებზე უხვმიწიანი ქვეყნებიც კი მიდიან და ჩვენ ვალდებულნი ვართ საკუთარი უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლო რესურსს გავუფრთხილდეთ...

ბინადრობის ცენზი უცხოელებისათვის, ვისაც მიწის შესყიდვა უნდა საქართველოში და კანონით მიწის იმ ფართობის ოდენობის განსაზღვრა (3%), 5% ანდა სხვა), რომლის გასხვისებაც შესაძლებელი იქნება უცხოელებზე.

აზრზე მოდით!

საკუთარ კეთილდღეობას და უბადრუკ კარიერას საკუთარი ქვეყნის გაყიდვის ხარჯზე ნუ უზრუნველყოფთ!

დემურ გიორხელიძე

არჩილ გამზარდია:

„რეალურად რომ ვთქვათ, პრეზიდენტობისთვის ბრძოლა არც კი მიმდინარეობს"

საუბრობენ იმაზე, რომ წელს განსხვავებული წინასაარჩევნო გარემოა, 23 საპრეზიდენტო კანდიდატს განსხვავებული პიარკამპანია აქვს, მათ შორის გამოკვეთილი კანდიდატების პიარკამპანიის მიმდინარეობაზე საკუთარი აზრის გამოთქმა და შეფასება ვთხოვეთ პიარის სპეციალისტსა და ექსპერტს, ბატონ არჩილ გამზარდიას.

გიორგი მარგველაშვილი

დავით ბაქრაძე

ნინო ბურჯანაძე

გიორგი თარგამაძე

— ბატონო არჩილ, როგორ შეაფასებდით 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ პიარკამპანიებს?

– მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში არსებითი და კონცეპტუალური განსხვავებები მაინცდამაინც არ შეიმჩნევა; იგივე საზოგადოებრივი დამოკიდებულებები, იგივე კონკურენციისგან დაცლილი გარემო (მიუხედავად კანდიდატების სიმრავლისა), საზოგადოებასთან ურთიერთობის იგივე რიტუალური და არა ფუნქციური ფორმა და ა.შ. ბოლო დრომდე საზოგადოებას ჰყავდა „უკონკურენტო" სიმბოლოები, რაც შეიცვალა საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ დღეისათვის პროცესი კვლავ დამახინჯდა, ამჟამინდელი ძირითადი კანდიდატი პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელია — რაც მოცემული მომენტისთვის მას თითქმის „უკონკურენტო" მდგომარეობაში ამყოფებს. ამას გარდა, ამჟამინდელ საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიას არ გააჩნია უმთავრესი მნიშვნელოვანი ფუნქცია — რეალური რინგი და თანაბარი საზომის მქონე კანდიდატები; რეალურად რომ ვთქვათ, პრეზიდენტობისთვის ბრძოლა არც კი მიმდინარეობს; კანდიდატების ნაწილი იმიჯის რეაბილიტაციის რეჟიმშია, ნაწილი – თვითპრეზენტირებისა და ა.შ. ამას გარდა, პრაქტიკულად არ გვაქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებული პროცესები, გამოყენებულია საზოგადოებრივი კომუნიკაციების განსაკუთრებულად გაცვეთილი და მარტივი ტექნოლოგიები.

რაც შეეხება უფრო პოზიტიურ მაჩვენებლებს, მნიშვნელოვან წინწაწევად ჩავთვლიდი იმ ფაქტორს, რომ საზოგადოებრივი გარემო უფრო ნაკლებადაა დაძაბული და კანდიდატების მხარდამჭერების უსაფრთხო გარემოც შედარებით უფრო დაცულია მიმდინარე პროცესში. ასევე, უნდა შევნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელიც, ფიქსირდება ე.წ. „როლთა ცვლა"

არჩილ გამზარდია

უცვლელი შინაარსის ფონზე; კერძოდ, ე.წ. ხელისუფლება გამოხატავს თვითკმაყოფილებას და ამჟამინდელ მდგომარეობას წარმატებულად აფასებს, სამომავლოდ კი მეტ წარმატებას ჰპირდება სამიზნე ჯგუფებს, ხოლო მისი ძირითადი ოპონენტი კი მეორე უკიდურესობას გამოხატავს, აცხადებს, რომ მდგომარეობა კრიტიკულია, ხოლო გადარჩენის ერთადერთი შანსი თავადაა. **განსხვავება მხოლოდ როლებშია, ხელისუფლების რანგში ამჟამად „ქართული ოცნება" გამოდის, ხოლო ოპოზიციის რანგში „ნაციონალური მოძრაობა". გასულ არჩევნებზე ანალოგიური შინაარსის საზოგადოებრივი პროცესები იყო, მხოლოდ როლები იყო შეცვლილი. აღნიშნული მოცემულობა კი კიდევ უფრო ყალბს და ანტაგონისტურს ხდის საზოგადოების წევრებს.**

კანდიდატები კვლავინდებურად ძირითადად იყენებენ მხოლოდ დისკრედიტირების საშუალებებს და ვერ წარმოადგენენ პრიორიტეტებზე თუ საკუთარ უპირატესობებზე დაფუძნებულ კამპანიებს.

— ბატონო არჩილ, იქნებ უფრო დავკონკრეტდეთ და ზოგიერთი კანდიდატის პიარკამპანია ცალ-ცალკე შეაფასოთ. მაგალითად, დავიწყოთ, ბატონ გიორგი მარგველაშვილით.

– კარგით, დავიწყოთ მმართველი რგოლის წარმომადგენლით. **გიორგი მარგველაშვილმა იცის, რომ ის გამარჯვებულია, რადგანაც მისი წარმდგენი პრემიერ-მინისტრია და საზოგადოების გადამწყვეტი ხმის რაოდენობა, ჯერჯერობით, მასზე პოზიტიურად არის ფოკუსირებული**; ამდენად, მას ბრძოლის მოტივაცია ნაკლებად გააჩნია; მისი საზოგადოებრივი კამპანიები აგებულია უკვე კარგად გაცვეთილ მეთოდებზე და არაა ძიება საზოგადოებასთან კომუნიკაციის რაიმე ახალ ან საინტერესო ფორმებზე, მათ შორისაა ლოკალური შეხვედრები საკუთარ ამომრჩევლებთან. პრომოუშენის შინაარსით აუცილებლად მოგვაგონდება პრეზიდენტ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის" ძველი პრომოკამპანიები, რომელიც თავის დროზე უფრო ახალი სიტყვა იყო ქართულ საზოგადოებრივ კომუნიკაციებში.

ძირითადი განსხვავება პერსონაჟთა ხასიათებშია — სააკაშვილი იყო ზედმეტად აგრესიული და მძაფრი, ხოლო მარგველაშვილი უფრო პოზიტიურია; თუმცა, ამავე დროს სააკაშვილის პიროვნებათშორისი კომუნიკაციები უფრო ეფექტური იყო, მარგველაშვილისგან განსხვავებით, ვგულისხმობ ადამიანებთან პირად შეხვედრებს, მას ჰქონდა ქარიზმა, შეეძლო სხვადასხვა კონტექსტში წარდგენილიყო რიგით მოქალაქეებთან, გადაეღო მათთან ფოტოები, დაერიგებინა ავტოგრაფები შოუ-ბიზნესის ვარსკვლავივით და ა.შ. ამ მხრივ, მარგველაშვილი ბევრად მოუხერხავი და მოუქნელია; მის ნაცვლად გარემოს პრემიერ ქმნის, რამდენადაც საზოგადოებაში თავად პრემიერის პერსონაჟია საინტერესო და არა მარგველაშვილისა.

მარგველაშვილის საზოგადოებრივ კამპანიებს ხშირად აკრიტიკებენ და ეს გასაგებიცაა. უპირველეს ყოვლისა, პრობლემა გვაქვს სარეალიზაციო პროდუქტში ანუ თავად მის პერსონაში. ბატონი გიორგი მარგველაშვილი ხელოვნური პერსონაჟია, ის არ არის ბუნებრივი და თვითმყოფადი, არც – საზოგადოებისათვის საინტერესო, იგი საინტერესოა მხოლოდ როგორც ბიძინა ივანიშვილის ანარეკლი; ამდენად, მისთვის მთავარი ის არის, რომ ზედმეტი შეცდომები არ დაუშვას, სხვა დანარჩენზე თავად პრემიერის იმიჯი და გავლენა მუშაობს. საზოგადოებრივი კამპანიის კუთხით, მისი კამპანიები, როგორც ზემოთ ვთქვი, გაცვეთილი ფორმატისაა, ის მოუხერხავი და მოუქნელია პიროვნებათშორისი კომუნიკაციების დონეზე, თუმცა, ის მეტად მშვიდია, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, ასევე, ნაკლებად აკეთებს აქცენტს მოწინააღმდეგეებზე, რაც თვისობრივად უფრო პოზიტიური შეტყობინებების სივრცეს ქმნის.

— დავით ბაქრაძის პიარკამპანიის თქვენეული შეფასება როგორია?

— ე.წ. პირველი ოპოზიციური ძალის კანდიდატს თავისი თავისებურებები აქვს, დავით ბაქრაძის კამპანიას ადვილად ეტყობა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისათვის კი არ იბრძვის, არამედ მას თავისი ამოცანები აქვს და მოცემულ არჩევნებს იყენებს, როგორც საშუალებას სხვა კონკრეტული მიზნისათვის; ეს მიზანი არც იმდენად ფარულია, როგორც სხვა მიზნები ან ქცევები, რაც ამ კანდიდატს ახასიათებდა — ეს არის სტანდარტული სარეაბილიტაციო საიმიჯო კამპანია.

კანდიდატი ბაქრაძე იბრძვის არა სხვა კანდიდატების მომხრეების გადმოსაბირებლად, არამედ დღეისათვის შემორჩენილი შესაძლო მომხრეების შესანარჩუნებლად, ცდილობს, აჩვენოს და დაარწმუნოს რა ისინი, რომ „ნაციონალური მოძრაობის" გვერდით დგომა სასირცხვილო არაა და უსაფრთხოა. დავით ბაქრაძეს რთული ამოცანა შეხვდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მან უნდა მოახდინოს „ნაციონალური მოძრაობისა" და საკუთარი იმიჯის რეაბილიტაცია საზოგადოებაში და დაელოდოს ხელსაყრელ მომენტს, რათა სტატუს-კვო აღიდგინოს; ამ მხრივ, მოცემული საპრეზიდენტო კამპანია მისთვის უფრო ეტაპია ამ პროცესში; ამავე პროცესში ის ცდილობს მოწინააღმდეგეების იმიჯზე ნეგატიურად ზემოქმედებას, ამაზეა აგებული მთელი წინასაარჩევნო სარეკლამო რგოლები, რაც სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია და წამგებიან სტრატეგიადაც მათ შორის.

სარეკლამო რგოლების ფორმატი იდენტურია საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების" მხარდამჭერი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი სარეკლამო რგოლებისა, მაგრამ ამჯერად ეს ფორმატი არაკონტექსტუალურია, ასევე წამგებიანია სარეკლამო რგოლებში იმავე პოლიტიკის გაგრძელებაზე მესიჯები („ისევ გავაგრძელებთ წინსვლას" და ა.შ.), რამდენადაც საზოგადოებას ამ პოლიტიკის მიმართ დღემდე რადიკალურად ნეგატიური დამოკიდებულებები გააჩნია; „ნაციონალური მოძრაობის" კლიპები ორი მიმართულებისაა, ერთი ეს არის საკუთარი თვალსაზრისი წინა მმართველობის პოზიტიური როლისა, რომელსაც უპირისპირებენ ამჟამინდელი მმართველი ძალის მიმართ ნეგატიურ შეფასებებს, ცდილობენ რა, რომ ფაქტობრივ ჭრილში აჩვენონ საზოგადოებას მონაცემები; მეორე მიმართულება კი პირდაპირ „ქართული ოცნების" ბრალმდებელ-მამხილებელი ხასიათია, ის თავისი კონცეფციით წინასაპარლამენტო არჩევნებისას „ქართული ოცნების" მხარდამჭერი ჯგუფების მიერ წარმოებული ხელისუფლებისადმი ნეგატიური რგოლების იდენტურია, სწორედ ამგვარ რგოლებს ვხედავდით ჩვენ საპარლამენტო არჩევნების წინ, ამჟამად მხოლოდ ადგილები აქვს შეცვლილ მხარეებს. განსხვავება ისაა, რომ ერთი წლის წინ ამგვარი მესიჯები კონტექსტუალური იყო, ხოლო ამჟამად ეს მესიჯები არაკონტექსტუალურია.

გაგრძელება **მე-9 გვერდზე**

წყალს სასმელად ვერ ვიყენებთ, გადასახადს კი გვახდევინებენ

ქუთაისში, ბარათაშვილის ქუჩაზე, სასმელი წყლის დეფიციტია. ქალაქში სამდღიანი უწყლობის შემდეგ მოსულ „ნანატრ" წყალს მოსახლეობა სასმელად ვერ იყენებს. მიზეზი სპეციფიური, არასასიამოვნი სუნი, გემო და შეფერილობაა. ამის გამო აქ მცხოვრებლები იძულებული არიან, მარკეტებს მიმართონ სასმელი წყლის შესაძენად.

აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრები ქალბატონის, მზევინარ ასათიანის განცხადებით, სასმელი წყლის პრობლემა ამ ქუჩისათვის ახალი არ არის. ბოლო რამდენიმე თვეა, რაც ბარათაშვილის ქუჩაზე წყალს დასალევად ვერ იყენებენ.

„თავდაპირველად მილი გასკდა და რამდენიმე დღის უწყლობის შემდეგ, ონკანებში უვარგისი წყალი მოდიოდა, მხოლოდ სარეცხად ვიყენებდით, ყველას ეშინოდა, არ მოწამლულიყო. რამდენჯერმე მივმართეთ მერიას დახმარების თხოვნით, ვწერეთ განცხადებები, ხშირად ვაწუხებდით „წყალკანალის" სამსახურს. ისინი კი მოდიოდნენ, მიჰქონდათ წყალი, როგორც გვეუბნებოდნენ, ექსპერტიზაზე და გვიმტკიცებდნენ, რომ ვარგისიანია და შეიძლება ამ წყლის დალევაო, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გამოვიყენეთ სასმელად, საშინელი გემო ჰქონდა. ერთ-ერთი მსგავსი შემთხვევის დროს, „ წყალკანალის" სამსახურის წარმომადგენელს პირადად უნდოდა დაემტკიცებინა ჩვენთვის წყლის ვარგისიანობა, მიწოდებული ჭიქა კი ლამის ხელიდან გაუვარდა, იმდენად არ ესიამოვნა გემო," – განაცხადა **მზევინარ ასათიანმა**.

მოსახლეობის თქმით, წყლის პრობლემა ყოველთვის იყო ბარათაშვილის ქუჩაზე, შესაბამისი სამსახურის გამოხმაურების მიუხედავად, დღესაც არ არიან კმაყოფილი წყლის სისუფთავით.

„წყალს ქლორის სუნი ასდის, შვილო, ჭურჭელში რომ ვაგროვებთ ყვითელი ნალექი აქვს და საშინელი გემო. შუშხუნებს, ონკანს რომ ვუშვებ, ეს როგორ დავალევინო ანგელოზ ბავშვებს, ნაგროვებ წყალს უფრო დაეტყო სიყვითლე და სუნი. არადა, გრაფიკით მოდის, რა უნდა ვქნათ, მოგვხედოს ვინმემ! მოვლენ მერე და გადაიხადე გადასახადიო, გვეტყვიან. რატომ გადავიხადოთ, როცა სასმელ წყალს მარკეტში ვყიდულობთ?!" – განაცხადა ადგილობრივმა მცხოვრებმა ქალბატონმა.

რედაქცია დაუკავშირდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სერვის-ცენტრს და აღნიშნული ქუჩის მოსახლეობის პრობლემასთან დაკავშირებით დაუსვა შეკითხვა, რამდენად ცნობილია მათთვის აღნიშნული ქუჩის პრობლემა. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვის-ცენტრის დირექტორის, მიხეილ თათარაძის ცნობით: „კომპანიამ ჯერ კიდევ ივლისის თვეში მოსახლეობიდან ანალოგიური საჩივრის საფუძველზე მოახდინა ბარათაშვილის ქუჩის წყალმომარაგების ქსელის შესწავლა და უზრუნველყო რამდენიმე წერტილოვანი დაზიანებების ლიკვიდაცია. 12, 16 და 22 ივლისს ქსელიდან აღებული სინჯებით დასტურდებოდა, რომ სასმელი წყალი სუფთაა და ტექნიკურ სტანდარტებს შეესაბამებოდა".

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, მიხეილ თათარაძის განცხადებით: „კომპანიის ცხელ ხაზზე მსგავსი პრობლემა არ დაფიქსირებულა. სერვის-ცენტრი თქვენი შეტყობინების საფუძველზე დღესვე მოახდენს რეაგირებას. კერძოდ, აღებული იქნება სასმელი წყლის სინჯები, მოხდება ქსელის დეტალური შესწავლა და შესაბამისი რეაგირებაც".

ბარათაშვილის ქუჩის მცხოვრებთა პრობლემა აქ არ მთავრდება. მათი თქმით, წყლის გარდა, კანალიზაციის და ელექტროსადენების პრობლემაც აქვთ. კერძოდ, ყოველი ძლიერი წვიმის დროს ეტბორებათ ეზოები, რადგან არ არსებობს წყლის საწრეტი და გამტარი მილები. ასევე, მათი განცხადებით, ჭექა-ქუხილის და ქარის დროს ხშირად ითიშება შუქი, სუსტი და მოძველებული სადენების გამო. როგორც ცნობილი გახდა, მათ გასული წლების განმავლობაში არაერთხელ მიმართეს დახმარების თხოვნით მერიას ამ პრობლემების აღმოსაფხვრელადაც, თუმცა, უშედეგოდ.

„ტენდერით გათვალისწინებულ დროს დაელოდეთო, გვეუბნებიან, მაგრამ არ ვიცით, ეს დრო როდის მოვა. ხელი ჩავიქნიეთ უკვე და აღარ დავრბივართ ამ პრობლემებზე. ახლა წყლის გამოც არ მიგვიმართავს არავისთვის, აზრი არ აქვს. მოვლენ და დაგვიწყებენ მტკიცებას, კარგია და დალიეთო. არადა, ფაქტი სახეზეა, რა მდგომარეობაშიც ვართ! შევხედავ ერთი, სანამ გვამყოფებენ ასე?" — აცხადებს ბარათაშვილის ქუჩის მცხოვრები **მზევინარ ასათიანი.**

ჟანა ჯანელიძე

2014 წლის საქართველოს ბიუჯეტის პროექტის განხილვები პარლამენტში დაიწყო

მთავრობამ პარლამენტს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა, რომლის საშემოსავლო ნაწილიც 7.379 მლრდ ლარს, ხოლო ხარჯები — 7.482 მლრდ ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა 7.422 მლრდ ლარია, ხოლო ხარჯების პროგნოზი 7.248 მლრდ ლარს შეადგენს.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, საგადასახადო შემოსავლების სახით 6.950 მლრდ ლარის მობილიზებაა დაგეგმილი, რაც 30 მლნ ლარით აღემატება წელს დაგეგმილ პარამეტრს; გრანტების სახით მთავრობა 129.8 მლნ ლარის მიღებას გეგმავს მომავალ წელს — მიმდინარე წელს გრანტების ოდენობა 202.5 მლნ ლარია; ხოლო სხვა შემოსავლების სახით, წლევანდელის მსგავსად, 2014 წელსაც, 300 მლნ ლარის მობილიზება იგეგმება, საიდანაც 100 მლნ ლარი კვლავ ჯარიმებსა და საურავებზე მოდის.

2014 წელს ბიუჯეტის ხარჯვითი პრიორიტეტები კვლავ ჯანდაცვა, განათლება, სოფლის მეურნეობა და ინფრასტრუქტურის განვითარება იქნება მაშინ, როცა ძალოვანი უწყებების დაფინანსება არ გაიზრდება.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, 2014 წელს სამინისტროები შემდეგი ოდენობის დაფინანსებას მიიღებენ:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო– 2.7 მლრდ ლარი (2013 წელს - 2.345 მლრდ ლარი; 2012 წელს - 1.821 მლრდ ლარი);
- თავდაცვის სამინისტრო – 660 მლნ ლარი (2013 წელი - 660 მლნ ლარი; 2012 წელი - 730.6 მლნ ლარი; 2011 წელი – 711 მლნ ლარი);
- შინაგან საქმეთა სამინისტრო – 570 მლნ ლარი (2013 წელი - 570 მლნ ლარი; 2012 წ – 587.8 მლნ ლარი; 2011 წ - 568 მლნ ლარი);
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 890.9 მლნ ლარი (2013 წელი - 928.5 მლნ ლარი);
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 764.3 მლნ ლარი (2013 წელი - 673.2 მლნ ლარი);
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 290 მლნ ლარი (2013 წელი – 241 მლნ ლარი);
- ფინანსთა სამინისტრო – 100 მლნ ლარი (2013 წელი – 100 მლნ ლარი);
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – 25 მლნ ლარი (2013 წელი – 55 მლნ ლარი);
- ენერგეტიკის სამინისტრო – 103.6 მლნ ლარი (2013 წელი — 118.7 მლნ ლარი);
- იუსტიციის სამინისტრო – 50 მლნ ლარი (2013 წელი — 71.4 მლნ ლარი);
- სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო - 155 მლნ ლარი (2013 წელი — 174.3 მლნ ლარი);
- საგარეო საქმეთა სამინისტრო – 80 მლნ ლარი (2013 წელი – 80 მლნ ლარი);
- კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო – 80 მლნ ლარი (2013 წელი — 80 მლნ ლარი);
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – 50 მლნ ლარი (2013 წელი – 47.2 მლნ ლარი);
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – 27.8 მლნ ლარი (2013 წელი — 25.9 მლნ ლარი);
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – 48 მლნ ლარი (2013 წელი — 48 მლნ ლარი);
- რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 1.3 მლნ ლარი (2013 წელი — 1.3 მლნ ლარი);
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 2.3 მლნ ლარი (2013 წელი — 2.3 მლნ ლარი);
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 850 ათასი ლარი (2013 წელი — 850 ათასი ლარი).

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, პარლამენტის დაფინანსება მომავალ წელს ნახევარი მილიონი ლარით შემცირდება და 59.5 მლნ ლარს შეადგენს; პრეზიდენტის ადმინისტრაცია 9 მლნ ლარს მიიღებს, რაც 20 ათასი ლარით მეტია წლევანდელ დაფინანსებაზე; მთავრობის კანცელარიისთვის კი წლევანდელზე ოდნავ მეტი, 10 მლნ ლარია გათვალისწინებული.

ამასთან, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი მომავალ წელს განახევრდება და 5 მლნ ლარს შეადგენს მაშინ, როცა მთავრობის სარეზერვო ფონდი კვლავ 50 მლნ ლარის მოცულობის დარჩება.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის 250 მლნ ლარია გათვალისწინებული, რაც თითქმის 200 მლნ ლარით ნაკლებია წლევანდელ დაფინანსებაზე; სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის კი კვლავაც 50 მლნ ლარი გამოიყოფა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია მომავალ წელს 54.5 მლნ ლარს მიიღებს, საიდანაც 28 მლნ ლარი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას მოხმარდება.

მნიშვნელოვნად გაიზრდება საქსტატის დაფინანსება არსებული 4.5 მლნ ლარიდან 15 მლნ ლარამდე, საიდანაც 8.8 მლნ ლარი მომავალ წელს დაგეგმილ მოსახლეობის საყოველთაო აღწერას მოხმარდება.

სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსება 280 ათასი ლარით გაიზრდება 2014 წელს და 2.380 მლნ ლარს შეადგენს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ასევე გაზრდილ დაფინანსებას მიიღებს, რომელსაც პროექტის თანახმად, საბიუჯეტო თანხები 38 მლნ ლარამდე გაეზრდება წელს გათვალისწინებული 31.8 მლნ ლარიდან.

საქართველოს საპატრიარქო, 2013 წლის მსგავსად, მომავალ წელსაც 25 მლნ ლარით დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

სასამართლო სისტემის დაფინანსებაში წლევანდელთან შედარებით არავითარი ცვლილება არ არის მოცემული მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში და, შესაბამისად, მასში არ ასახულა ის **დაპირება**, რომელიც მთავრობამ გასცა სასამართლო სისტემაში ხელფასების ზრდის თაობაზე.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ყველა გუბერნიას ეზრდება რამდენიმე ათასი ლარით საბიუჯეტო დაფინანსება.

ამასთან, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე გასაცემი ტრანსფერების ჯამური რაოდენობა, მომავალ წელს 795.9 მლნ ლარამდე გაიზრდება, წელს არსებული 769.7 მლნ ლარიდან.

თუმცა, თბილისისთვის გათვალისწინებული ტრანსფერის ოდენობა მომავალ წელს, დაახლოებით, 50 მლნ ლარით შემცირდება და 398 მლნ ლარს შეადგენს. თბილისის მერმა გიგი უგულავამ მთავრობა გააკრიტიკა ამ შემცირების გამო, რომელიც, მისი თქმით, დედაქალაქში „სადამსჯელო ღონისძიებას" იმის გამო ახორციელებს, რომ თბილისს კვლავ „ნაციონალური" მოძრაობა მართავს.

ამასთან, ბიუჯეტის პროექტი ეყრდნობა მთავრობის გათვლას იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალ წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5% იქნება. წელს, ბიუჯეტის თანახმად, მშპ-ს ზრდის პროგნოზი 6%-ია მაშინ, როცა „საქსტატის" მონაცემებით, 2013 წლის პირველ რვა თვეში მშპ-ს საშუალო რეალურმა ზრდამ 1.6% შეადგინა.

ბიუჯეტის პირველადმა პროექტმა საპარლამენტო განხილვების შედეგად შესაძლოა გარკვეული კორექტივები განიცადოს იქამდე, ვიდრე მას დეპუტატები წლის ბოლომდე კენჭს უყრიან.

უნდა აშენდეს თუ არა ხუდონჰესი?

უნდა აშენდეს თუ არა ხუდონჰესი — ეს კითხვა ქართულ პოლიტიკაში უკვე დიდი ხანია ისმის. პირველად ეს საკითხი აქტუალური ეროვნული მოძრაობის დროს გახდა და ორგანიზაცია „მწვანეები," რომლის თავმჯდომარეც ზურაბ ჟვანია იყო, ეწინააღმდეგებოდა ჰესის აშენებას. პრობლემა დღესაც იგივეა — ხუდონჰესის აშენება სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს გააჩენს. მისი აშენების შემდეგ 500 ჰექტარზე მეტი ტერიტორია დაიტბორება და რამდენიმე სოფელი წყალში მოექცევა.

ინდურ-ინგლისური კომპანიის „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას" პროექტი მდინარე ენგურზე 700 მეგავატიანი ჰესისა და 200 მეტრი სიმაღლის კაშხლის მშენებლობას ითვალისწინებს. შედეგად, დაიტბორება 500 ჰექტარზე მეტი ტერიტორია და, მათ შორის, რამდენიმე სოფელი. პროექტის განხორციელებას ეწინააღმდეგება როგორც გარემოს დამცველი ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივი მცხოვრებლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის აპრილის თვეში, გარემოს დაცვის სამინისტროს მოწვევით, ნიდერლანდელი ექსპერტები თვენახევრის განმავლობაში სწავლობდნენ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების თაობაზე ჩატარებულ გამოკვლევას — გამოკვლევას, რომელიც, პროექტის განმახორციელებელი კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას" დაკვეთით, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელმა (CENN) შექმნა.

ნიდერლანდელმა ექსპერტებმა მაშინ განაცხადეს, რომ „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას" მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც მდინარე ენგურზე 700 მეგავატიანი ჰესის, დაახლოებით, 200 მეტრის კაშხლისა და რეზერვუარის მშენებლობას გულისხმობს, ძალიან ძნელად დასასაბუთებელია. როგორც ბიომრავალფეროვნების ექსპერტმა როი სლუტვეხმა განმარტა, იმ ეტაპისათვის არ არსებობდა არანაირი ეროვნული თუ ენერგეტიკის პოლიტიკა და ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, რომელიც დაანახვებდა საზოგადოებას, თუ რატომ უნდა აშენდეს კაშხალი.

როი სლუტვეხმა ყურადღება გაამახვილა რამდენიმე კონკრეტულ პრობლემაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის განხორციელების შემთხვევაში და რომლის შესახებაც ქართველი ექსპერტების მიერ შექმნილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში სრულყოფილი ინფორმაცია არ მოიძიება. მათ შორის ერთ-ერთია სეისმური რისკები, თუმცა, მისივე თქმით, მნიშვნელოვანია პროექტში სოციალური ასპექტების გათვალისწინებაც.

2013 წლის 29 მაისს კი, კომისიის ექსპერტთა ჯგუფმა გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც გაანალიზებულია პროექტის ეკონომიკური სოციალური და ტექნიკური ნაკლოვანებები, ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა იყო ის, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს არ შეეძლო პროექტზე გადაწყვეტილების მიღება, იმდენად, რამდენადაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ იყო მოცემული არსებითი მნიშვნელობის ინფორმაცია. ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელი კვლევების ჩასატარებლად კი, ექსპერტთა საბჭოს აზრით, საჭირო იყო, სულ მცირე ერთი წელი.

2013 წლის ივლისის ბოლოს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია"-მ გამოაქვეყნა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი ვარიანტი (განახლებული ვერსია), რომლის საჯარო განხილვაც დაიგეგმა 2013 წლის 17 სექტემბერს, სოფელ ხაიშში და 19 სექტემბერს, თბილისში.

„პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პირდაპირი (უშუალოდ დატბორვის ზონაში) და ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ხაიშისა და ჭუბერის თემის სოფლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, ორი ეკლესია, საფლავები, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაუკუნოვანი ხაიშის ციხე და ხაიშში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, I საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლი, ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, ხოლო გადასახლება მოუწევს, დაახლოებით, 2000-ზე მეტ ადამიანს, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს პოლიტიკური რისკების გაზრდას ქვეყნისთვის," — მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას."

7 სექტემბერს ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განსახილველად დაბა ხაიშში იმყოფებოდნენ ელექტროსადგურის ინვესტორი კომპანიის, მთავრობისა და გარემოს დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ხაიშის საჯარო სკოლის ეზოში შეხვდნენ.

„საჯარო განხილვა პრაქტიკულად არ ჩატარდა, ვერ მოახერხეს ჩატარება. ხაიშის მოსახლეობა შეიკრიბა „სატყეოს" შენობის წინ იმისათვის, რომ არ მისცენ ინვესტორს ოფისის გახსნის საშუალება, რასაც ის აპირებს პოლიციის დახმარებით. ერთი სიტყვით, ორი ძირითადი მოთხოვნა აქვთ: პირველი, აშენდეს ისეთი სადგური, რომელიც მათ არ შეუქმნის პრობლემებს და, მეორე, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოხდეს მათთვის წართმეული, ჩუმად გადაფორმებული მიწების უკან დაბრუნება," — განაცხადა „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა დავით ჭიპაშვილმა „რადიო თავისუფლებასთან" საუბარში.

ხაიშის მოსახლეობის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული ვარიანტი ასეთია: ააშენონ მაქსიმუმ 40-იანი კაშხალი, რომელიც სოფელს არ დატბორავს, ან ააშენონ ხაიშს ზემოთ შედარებით მაღალი კაშხალი, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც აპირებენ. ამით სოფელი ხაიში გადაურჩება გადაშენებას, ტაძარი და სასაფლაოც არ მოექცევა წყლის ქვეშ და ენერგეტიკის თვალსაზრისითაც თითქმის იმასვე მივიღებთ. ამ შეთავაზებაზე კი ინვესტორი კომპანიის წარმომადგენლები არ თანხმდებიან, რადგან მათი თქმით, ასეთ შემთხვევაში ჰესი რენტაბელური ვერ იქნება.

ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმა ხუდონჰესის მშენებლობის მეორე საჯარო განხილვის მიმდინარეობისას განაცხადა.

„ხუდონჰესის მშენებლობის არეალში მოქცეული მოსახლეობის განსახლების გეგმის მეორე ფაზის შესამუშავებლად ხელშეკრულება კანადურ კომპანია „რეპლანთან" გაფორმდა. მოსახლეობის კომპენსირება და განსახლება მსოფლიო ბანკის 4/12 სტანდარტებით განხორციელდება, რაც მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას გულისხმობს, მაგრამ არარეალური მოლოდინები არავის უნდა ჰქონდეს," — განაცხადა ელოშვილმა. მისი თქმით, კონტრაქტორმა კომპანიამ მშენებლობის ნებართავა 2014 წლის მარტში უნდა მიიღოს.

თავის მხრივ, კომპანიამ „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას" წარმომადგენელი ნინო ასათიანი ამბობს, რომ გარემოს ზემოქმედების დოკუმენტში, ძალიან ბევრი რეალობას მოკლებული შენიშვნაა მოცემული.

სტრატეგიულად ჩვენ ძალიან გვჭირდება ჰესების მშენებლობა

რაც შეეხება მთავრობის პოზიციას, ასეთია — ხუდონჰესი საჭიროა ქვეყნისათვის და უნდა აშენდეს, თუმცა, მოსახლეობის მოთხოვნები მაქსიმალურად უნდა დაკმაყოფილდეს.

„ამ პროექტის განხორციელებაში ყველაზე დიდი სირთულე არის ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარება, მაგრამ ჩვენ, მთავრობა, ვიძლევით პირობას, რომ მაქსიმალურად ყველას, თითოეული იქაური ადამიანის ინტერესებს გავითვალისწინებთ და ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს გაუხარდება," — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ.

„არ შეიძლება, ქვეყნის განვითარების სტრატეგიას ხელი შევუშალოთ" — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხუდონჰესის მშენებლობის საკითხის განხილვის კომენტირებისას განაცხადა.

„მე ვიცი და თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ბევრი პოლიტიკოსი ჰესების მშენებლობით სპეკულირებდა და ხშირად ახერხებდნენ მოსახლეობის დარწმუნებას, მაგრამ სტრატეგიულად ჩვენ ძალიან გვჭირდება ჰესების მშენებლობა. ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ჩვენ არ გვაქვს ისეთი საექსპორტო საშუალებები, რომ ელექტროენერგია გარედან ვიყიდოთ. ენერგოდამოუკიდებლობა კი ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი საფუძველი იქნება," — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„მინდა, ჩვენს საყვარელ სვანებს მივმართო, რომ გაგებით მოეკიდონ ამ საკითხს. ეს სჭირდება მთელ საქართველოს, არა მხოლოდ სვანეთს და ეს რეგიონსაც აუცილებლად ააღორძინებს. რა თქმა უნდა, ბუნებას აკლდება, ბუნება სადღაც დაიფარება წყლით. ჩვენ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ თითოეული მოსახლის ინტერესს და ყველას მაქსიმალურად დავაკმაყოფილებთ, მაგრამ არ შეიძლება, ქვეყნის განვითარების სტრატეგიას ხელი შევუშალოთ. არ დაუჯერონ ოპონენტებს, რომლებიც მხოლოდ ხმაურობენ და ხმაურის მეტი არაფერი შეუძლიათ," — ასე მიმართა საჯაროდ პრემიერმა სვანეთის მაცხოვრებლებს.

ინვესტორი კომპანიის ტექნიკური დირექტორი კი პირობას იძლევა, რომ საჯარო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებს კომპანია გაითვალისწინებს.

„შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მხრიდან არაერთი შენიშვნა გამოითქვა. ჩვენი კომპანია გამოთქმულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს გაითვალისწინებს და წარმატებას აუცილებლად მივაღწევთ. სოფელ ხაიშის თითოეული მცხოვრების ინტერესების დაცვის გარანტიას სახელმწიფო და ინვესტორი იძლევა," — აცხადებს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას" ტექნიკური დირექტორი პაატა წერეთელი.

ხუდონჰესის და, ზოგადად, დიდი ჰესების აშენება გააპროტესტა კავკასიური სახლის თავმჯდომარემ, მწერალმა ნაირა გელაშვილმა, რომელმაც ხუდონჰესის მშენებლობის საჯარო განხილვისას განაცხადა: „მე ძალიან კარგად ვიცნობ ჰესების მშენებლობის სპეციფიკას, ხელისუფლებას კიდევ არაერთი ჰესის მშენებლობა აქვს დაგეგმილი, რაც უდიდესი ტერიტორიების დატბორვას გამოიწვევს. ჩვენი ხელისუფლების მიზანი ელექტროენერგიის ექსპორტით დიდი მოგების მიიღებაა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმა უნდა მოვითხოვოთ და ვნახოთ, რა რაოდენობის ელექტროენერგია გვჭირდება და რამდენად საჭიროა ამდენი ჰესის მშენებლობა."

საჯარო განხილვის პარალელურად ხუდონჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეებმა აქცია გამართეს, რომლებიც დიდი ჰესების მშენებლობის საკანონმდებლო დონეზე აკრძალვას მოითხოვდნენ.

„როგორც საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთმა ავტორმა, შევძელი კოალიცია ჰესების მშენებლობის აკრძალვაში დამერწმუნებია, საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი ჰესების მშენებლობა კლიმატის მასშტაბურ ცვლილებებს გამოიწვევს, საუბარია არამარტო ეკლესიების, სოფლების და კულტურული ძეგლების დაზიანებაზე, არამედ მთლიანად სვანეთის კლიმატის ცვლილებაზე, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. სვანეთი სეისმურად აქტიური ტერიტორიაა და დიდი ჰესები ამის მთავარი მაპროვოცირებელია.

უდონჰესის მშენებლობა თურქეთში მიზერული ელექტოენერგიის გაყიდვისთვის ეროვნული ინტერესების ფეხქვეშ გათელვაა. თუმცა, არ გამოვრიცხავ კერძო კომპანიის ინტერესების გათვალისწინებასაც," — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლაშა ჩხარტიშვილმა. მისივე თქმით, ელექტროსადგურის მშენებლობა ამ ხელისუფლების საარჩევნო დაპირებების დარღვევაა და ბიძინა ივანიშვილმა ხალხის დაკვეთა უნდა შეასრულოს და ჰესის მშენებლობა შეჩერდეს.

ცოტნე პაატაშვილი

ხალხის აზრი

უნდა აშენდეს თუ არა ხუდონჰესი?

„სააკაშვილის დროს „ოცნება" იყო ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგი და ახლა თვითონ რატომ აშენებენ?!"

თამარ მოსეშვილი

თამარ მოსეშვილი, პროფესორი: „მე კარგად არ ვიცნობ სვანეთის ეკოლოგიურ პრობლემებს, მაგრამ რადგან მეწყერსაშიში ზონაა იქ, კარგად უნდა იყოს შესწავლილი ეს პრობლემები. დღეს, მე მგონი, მთელი მსოფლიო ამბობს უარს ასეთი დიდი კაშხლების აგებაზე და სხვა ალტერნატიულ გზებს ეძებენ. საქართველოში თავისუფლად არის შესაძლებელი მზის და ქარის ენერგიის გამოყენება, რაც, ვფიქრობ, ნაკლებ უარყოფით გავლენას მოახდენს ჩვენს ეკოლოგიაზე."

ნესტან ხანთაძე

ნესტან ხანთაძე, ბუღალტერი: „საქართველოსთვის თუ რამე კარგი გაკეთდება, რა თქმა უნდა, მივესალმები და თუ ხალხისთვის ზიანის მომტანი იქნება, ბუნებრივია — არა."

გულნარა ვიშვიძე, პედაგოგი: „უნდა აშენდეს იმ შემთხვევაში, თუ მისაღები იქნება ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის. კარგია ამხელა ენერგიას თუ გამომუშავებენ საქართველოში, მაგრამ დაუშვებელია ხალხისთვის რაიმე სახის ზიანის მიყენება."

აკაკი ციხელაშვილი

აკაკი ციხელაშვილი, გამყიდველი: „დაუშვებელია, შვილო, ის სამი სოფლის ხალხი სად უნდა წაიყვანონ. საფლავებს და სალოცავებს ასე ადვილად არ დათმობენ სვანები. სააკაშვილის დროს „ოცნება" იყო ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგი და ახლა თვითონ რატომ აშენებენ?!"

ლავრენტი აფხაიძე, ინჟინერ-მექანიკოსი: „არ უნდა აშენდეს. ამ ჰესის მშენებლობა უარყოფითად იმოქმედებს ხალხზეც, ბუნებაზეც, საფლავებსა და სალოცავებზე. ეს კი ყოვლად დაუშვებელია."

მაია კუბლაშვილი, ეკონომისტი: „თუკი დააზარალებს მოსახლეობას, არ უნდა გაკეთდეს. აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ხალხის აზრი. იქ მათი მამა-პაპები მარხია, იმ ადგილებში აქვთ წმინდა სალოცავები, რომ არაფერი ვთქვათ კარ-მიდამოზე და განა დასაშვებია ამ ადამიანების აყრა იქედან? რა კომპენსაცია შეამსუბუქებს მათ ზარალს?"

კახაბერ ხაფავა

კახაბერ ხაფავა, ინჟინერი: „მე მგონი, არ უნდა აშენდეს, იქ ცხოვრობს ხალხი და აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივების აზრი. სვანეთის რელიეფისათვის ეს დამანგრეველი იქნება. მითუმეტეს, ამ ჰესით გამომუშავებულ ელექტროენერგიას გაყიდიან და ქართველი ხალხისთვის მაინც არ იქნება არაფერი."

ჟანა ჯანელიძე

ციხეებში წამების ფაქტების მასშტაბური კვლევა იწყება

წამების კადრების გავრცელებიდან ერთი წლის შემდეგ ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველები მასშტაბურ კვლევას იწყებენ, რომელიც შეისწავლის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მოტივებს ქართულ ციხეებში და მის როლს ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. კვლევის პროცესში გამოიკითხავენ 1200 მსჯავრდებულს, რომელთაგან 600 ყოფილი პატიმარია.

კვლევის პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში“ 1 ოქტომბერს გაიმართა.

კვლევის შედეგები 2014 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდება და უპასუხებს ძირითად შეკითხვებს: რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებდა წამებას, რა მიზანი ჰქონდა წამების ფოტო-ვიდეო დოკუმენტირებას, წამების რა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მეთოდები იყო ყველაზე ხშირად გამოყენებული, წამება ხდებოდა გარკვეულ ციხეებში თუ ქვეყნის სრული მასშტაბით, ხდებოდა ეს ციხის ადმინისტრაციის კონკრეტული ჯგუფის ფარგლებში, თუ ეს იყო ოფიციალური პოლიტიკა.

კვლევაში ყურადღება გამახვილდება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებზეც.

კვლევის საფუძველზე საერთაშორისო ექსპერტები საქართველოს მთავრობას გადასცემენ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ციხის მართვა და როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან მომავალში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა.

კვლევის პროექტის პრეზენტაციასთან დაკავშირებით საქართველოს ეწვია ციხის საერთაშორისო რეფორმის დამაარსებელი და ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრი ბარონესა ვივიენ სტერნი, რომელიც კვლევის პროცესში იქნება ჩართული. ასევე, პროფესორი ენდრიუ ქოილი, ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის მრჩეველი სასჯელაღსრულების საკითხებზე.

კვლევის სამუშაო ჯგუფი აერთიანებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს.

კვლევას ახორციელებენ:

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ციხის საერთაშორისო რეფორმა, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი — ემპათია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ახალგაზრდები სამართლიანობისთვის, საზოგადოებრივი დამცველი, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი და გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში.

კვლევას ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ დააფინანსებს.

psnews.ge

ჯანდაცვის მინისტრის დაპირება არ გამართლდა — ამბულატორიის ექიმები კუთვნილ ხელფასს ითხოვენ

უკმაყოფილო ექიმები გეგმავენ, სადაზღვევო კომპანიას სასამართლოში უჩივლონ

პირველი გვერდიდან

„P.S.ფოტო“ ©

ექიმების აქცია პარლამენტის წინ

მაგალითად, სავალალო მდგომარეობაშია წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირის ამბულატორია, რომელიც გამგეობის ნახევრად დანგრეულ შენობაში არსებობს და, ბუნებრივია, ასეთ პირობებში ადგილობრივი მოსახლეობა ექიმის მომსახურებით არც სარგებლობს, რადგან, როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, არ ენდობიან და ურჩევნიათ, ქალაქის საავადმყოფოს მიაკითხონ.

„აქ კარგად რომ იყო, მაშინ გახდები ცუდად და ავადმყოფს რა დაემართება. დანგრეულია ყველაფერი და ანტისანიტარიაა. გვირჩევნია ქუთაისში წავიდეთ სამკურნალოდ. არ ვიცით, საერთოდ, რას მუშაობენ, მგონი აქ არც არავინ დადის,“ – აღნიშნეს ადგილობრივებმა.

მსგავსი სიტუაციაა რამდენიმე სოფლის ამბულატორიაში, თუმცა ბევრია ისეთი სოფელი იმერეთში, სადაც ამბულატორიებს სასიცოცხლო დანიშნულება აქვთ.

საქმის შესწავლიდან ირკვევა, რომ პირველადი დანიშნულების ნივთების და მედიკამენტების ხელფასიდან შეძენა სხვადასხვა ამბულატორიების ექიმებს არათანაბარ პირობებში აყენებს. იმ ექიმებს, რომელთაც მეტი პაციენტის მიღება უწევთ, გაცილებით მეტ თანხას იხდიან საჭირო ნივთებში, რაც მათ ხელფასზე პირდაპირ აისახება.

ის, რომ ამბულატორიების გამართული მუშაობა ექიმების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ადასტურებენ თავად ექიმები. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ სადაზღვევო კომპანიას მათი დავალიანება ამ დრომდე არ დაუფარავს. შეწყვეტილი ხელფასების გადახდის მოთხოვნით იმერეთის რამდენიმე რაიონის სოფლის ექიმებმა ივნისში პარლამენტთან აქცია გამართეს, როგორც ისინი აცხადებდნენ, სადაზღვევო კომპანიამ ხელშეკრულება გაუფრთხილებლად შეუწყიტა და თანხის გადახდაზე უარი განაცხადა. რის გამოც, მიმდინარე წლის აპრილის თვიდან ამბულატორიის ექიმებს, მხოლოდ ხელფასის ნაწილი ერიცხებათ.

ია რაზმაძე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის ამბულატორიის ექიმი: „რა თქმა უნდა, არათანაბარ პირობებში გვიწევს მუშაობა, არიან ექიმები, რომლებიც სრული დატვირთვით არ მუშაობენ და, შესაბამისად, ნაკლებ მედიკამენტს ყიდულობენ. ჩვენ ამ ნახევარი ხელფასით, რაც 250 ლარს შეადგენს, ვიხდით დენის გადასახადს, ვაგროვებთ გარკვეულ თანხას, რომ საჭირო ნივთები და მედიკამენტები შევიძინოთ, რადგან მინისტრის ბრძანებულებით გვევალება, რომ სამედიცინო ჩანთა ყოველთვის მზად გვქონდეს, უამრავ ადამიანს ვუწევთ პირველად სამედიცინო დახმარებას და ჩვენი ისედაც მიზერული თანხა ისევ ამბულატორიისთვის გვეხარჯება. კარგი იქნება, თუ ეს მოდელი შეიცვლება, არ ვიცით, სამინისტროს ამბულატორიებთან დაკავშირებით რა გეგმები აქვს, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ უკეთესობისკენ შეიცვლება, რაც შეეხება ხელფასს, მხოლოდ სახელმწიფოს ნაწილი გვერიცხება, სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით კი, კომპანიას ამ დროისათვის საკმარისი თანხა არ აქვს.“

ნატო გიორგაძე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირულას ამბულატორიის ექიმი: „ჯეო ჰოსპიტალსს“ აპრილის თვიდან მოყოლებული დავალიანება არ დაუფარავს, შეგვპირდნენ, რომ ხელფასის 75 პროცენტი დაგვერიცხებოდა, მაგრამ მხოლოდ ივლისის თვეში დაგვირიცხეს 125 ლარი. ეგ იყო და ეგ. არ ვიცით, რას გვიპირებენ. ჩვენ ვაპირებთ, რომ სადაზღვევო კომპანიას სასამართლოში ვუჩივლოთ. დღემდე ტყუილი დაპირებებით მოვყავართ, მხოლოდ სადაზღვევო კომპანიას არ აქვს ეკონომიკური კრიზისი, ჩვენც ამ დღეში ვართ. ამიტომ ჩვენი კუთვნილი თანხისთვის სასამართლოს გზით ვიბრძოლებთ.“

***

ამბულატორიების თანადაფინანსების მოდელი წინა ხელისუფლების დროს დამკვიდრდა და სადაზღვევო კომპანიას დაეკისრა ვალდებულება — თანხის ნახევარი სამინისტროსთან ერთად დაეფარა. თუმცა, მიმდინარე წლის აპრილში რამდენიმე სადაზღვევო კომპანიამ მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ დაკისრებულმა მოვალეობამ კომპანიები გაკოტრების პირას მიიყვანა.

სადაზღვევო კომპანიის მიერ ხელფასების შეწყვეტის მიზეზებზე **„ჯეო ჰოსპიტალსის“** ზესტაფონის რეგიონალური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა **ლია ებანოიძემ** გაზეთ „P.S.“-სთან ისაუბრა. ებანოიძე ექიმებისთვის ხელფასის შეწყვეტის მიზეზებზე რამდენიმე თვის წინ ჩავწერეთ, თუმცა, ვითარება ამ დრომდე არ შეცვლილა და სადაზღვევო კომპანიას დავალიანება, ჯერჯერობით, არ დაუფარავს.

„ჩვენ კარგად გვესმის ექიმების მდგომარეობა, მაგრამ დაკისრებულმა მოვალეობამ სადაზღვევო კომპანიები ცუდ პირობებში ჩააყენა. ჩვენ არ გავურბივართ იმ დავალიანების გადახდას, რაც „ჯეო ჰოსპიტალსს“ დარჩა, მაგრამ მომავალ თვეებში ვეღარ გავაგრძელებთ ხელფასების გადახდას. ეს სახელმწიფოს მოვალეობაა და სახელმწიფომ თავისი ვალდებულება უკან წაიღოს. ჩვენ ვთავაზობთ ჯანდაცვის სამინისტროს, რომ ამბულატორიების მედპერსონალის ხელფასები სამინისტრომ დაარიგოს, ჩვენ კი, ჩვენთან დაზღვეული თითოეული ადამიანის მომსახურებისათვის ექიმს ბონუსის სახით გადავუხდით გარკვეულ თანხას, რაც ექიმის ხელფასს კიდევ უფრო გაზრდის,“ — განაცხადა **ლია ებანოიძემ**.

ამბულატორიების გაუმართავ მუშაობაზე ამახვილებს ყურადღებას ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, როგორც მან გაზეთ „P.S.“-თან საუბრისას აღნიშნა, ამბულატორიების უმეტესობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და აუცილებელია მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლა, თუმცა, ახალ მოდელზე მუშაობა სადაზღვევო კომპანიების მიერ დავალიანების დაფარვისთანავე დაიწყება.

„ამ ეტაპზე სოფლის ამბულატორიები, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, არ არსებობენ. ეს ექიმები არიან კერძო პირები, რომელთაც გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები და ისინი სამკურნალო აქტივობებს ახორციელებენ მათთვის საერთოდ გაუგებარ დაწესებულებებში, ანუ ეს არის საერთოდ დაშლილი სისტემა, რომელშიც ვეცადეთ ლოგიკის ნახვა, მაგრამ ვერ მოვნახეთ. ნუ, ახლა გვაქვს ის, რაც გვაქს. პირველი აუცილებელი პირობაა, რომ სადაზღვევო კომპანიამ დავალიანება უნდა დაფაროს. მე მივიღე დაპირება სადაზღვევო კომპანიისგან, რომ შემდეგ კვირაში დავალიანების დიდი ნაწილი დაიფარება, ხოლო რაც დარჩება, მცირე ნაწილი, მისი დაფარვაც მალევე მოხდება. ამის შემდგომ კი ჩვენი ხედვა არის ის, რომ სოფლის ექიმი უნდა იყოს ერთიანი ჯანდაცვის სისტემის ნაწილი. ჩვენ საქმის ყურში უნდა ვიყოთ, რა ულხინს, რა უჭირს და როგორ მუშაობს ის. მე ახლა ამას ვერ ვაკეთებ, რადგან არ მაქვს მორალური უფლება, რომ მათ მოვკითხო: აბა, რა იმუშავეთ და ასე შემდეგ. აი, მერე კი, როცა დავალიანებები დაიფარება, ვითანამშრომლებ მათთან როგორც კოლეგებთან. მერე სულ სხვაგვარი მოთხოვნებიც იქნება ჩვენის მხრიდან და, შესაბამისად, მათგანაც. ბუნებრივია, ჯანდაცვის სამინისტროს აქვს არა მარტო გეგმა და სტრატეგია, არამედ უკვე არსებობს პროექტი — როგორ უნდა განხორციელდეს ეს გეგმა, როგორ უნდა იფუნქციონიროს სოფლის ამბულატორიებმა. მთავარია, დასრულდეს დავალიანებების დაფარვა. თუ როგორი იქნება ეს პროექტი, ამას შემდგომში უფრო დეტალურად განვიხილავთ,“ – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ**.

მიუხედავად მინისტრის დაპირებისა, გასულ კვირაში ექიმებმა მხოლოდ სექტემბრის ხელფასის 75 პროცენტი მიიღეს და გასული თვეების დავალიანება სადაზღვევო კომპანიას ამ დრომდე არ დაუფარავს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ამბულატორიის ექიმები psnews.ge-ს დაუკავშირდნენ და აღნიშნეს, რომ მიუხედავად მოლოდინისა, მათ მხოლოდ ხელფასის ის ნაწილი მიიღეს, რომელსაც სახელმწიფო ფარავს.

„გვქონდა იმედი, რომ მინისტრის დაპირება გამართლდებოდა და სადაზღვევო კომპანია დავალიანებას დაფარავდა, მაგრამ მიმდინარე თვის ხელფასის მხოლოდ 75 პროცენტი ჩაგვერიცხა, არაფერი არ შეცვლილა და სადაზღვევო არც ზუსტ დროს გვისახელებს, როდის დაფარავს ექიმების დავალიანებას,“ — აღნიშნა პირველი სვირის ამბულატორიის ექიმმა **მანანა ცხადაძემ**.

ექიმების განცხადებით, ისინი იმავე აზრზე რჩებიან — აპირებენ სადაზღვევო კომპანიას სასამართლოში უჩივლონ.

ნესტან ჩაგელიშვილი

საქართველოში 81 ახალი ამბულატორიის აშენება იგეგმება

უახლოეს ხანში, საქართველოს რეგიონებში 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობა დაიწყება. ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიცირებული ერთობლივი პროექტი მთავრობამ მოიწონა.

როგორც სერგეენკო ამბობს, პროექტს სახელმწიფო დააფინანსებს, რომლის ფარგლებშიც, ასევე ერთი გადაუდებელი დახმარების კლინიკის მშენებლობაა დაგეგმილი. მინისტრის თქმით, 60-მა მუნიციპალიტეტმა მთავრობას ყველაზე კრიტიკული წერტილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. გარდა ამისა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე 20 ამბულატორიული დაწესებულება აშენდება. როგორც მინისტრი დასძენს, დამატებით, ყველაზე უფრო სუსტ წერტილში, ტყვიავთან, სადაც ცხინვალის რეგიონიდან მომავალი პაციენტების დიდი ნაკადია, ურეკისა და ბორითის კლინიკების ანალოგი აშენდება. ჯანდაცვის მინისტრის ინფორმაციით, მშენებლობები რამდენიმე დღეში დაიწყება.

„თანაინვესტირების ფონდის“ შუქ-ჩრდილები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკური პრობლემები საქართველოში არავის უკვირს. მართალია, ყველა ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, თუმცა, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ცუდად ან ძალიან ცუდად ცხოვრობს და ამის მიზეზად ექსპერტები სახელმწიფოს მიერ საკითხისადმი არასწორ მიდგომას ასახელებენ. ბოლო დროს 6 მილიარდიანი ფონდის იდეამ მოსახლეობაში იმედები გააჩინა, თუმცა, არსებობს კრიტიკული მიდგომა ამ საკითხისადმი. ფინანსურ და საინვესტიციო საკითხებზე „პოსტსკრიპტუმი“ ესაუბრა საერთაშორისო ფინანსურ ექსპერტს ამერიკა, აზია და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ირაკლი ბერძენაძეს.

ირაკლი ბერძენაძე: „მსოფლიოში არ არსებობს ინვესტორი, რომელიც კაპიტალს დებს უკვე განწირულ პროექტში“

— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებდით 6 მილიარდიანი ფონდის დაარსებას?!

— სანამ უშუალო შეფასებას დავიწყებდი, მაქვს ზოგადი კითხვა, თუ რას ნიშნავს 6 მილიარდიანი ფონდი და ყველაზე უფრო მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფონდის სახსრების დაანონსება ამ რაოდენობით მაშინ, როდესაც ქვეყნის ბიუჯეტი აღნიშნულ თანხაზე ნაკლებია (6 მილიარდ დოლარზე ნაკლები), მინიმუმ არასერიოზული მიდგომაა და მაქსიმუმ, ეს არის საშუალება, რომ საკუთარი თავი დაარწმუნო იმაში, რომ რაღაც უნარი მაინც შეგწევს, მაგრამ მომავლის გარეშე. აღნიშნული ფონდის იდეა, ჩემი აზრით, იდეითვე დასრულდება, რადგან მე არსად წამიკითხავს ამ ფონდის შესახებ, თუნდაც მოკლე ან გრძელვადიანი გეგმა, მისი არეალი, კონკრეტული საქმიანობის მიზნები და რაც მთავარია, რაზე იქნება გათვლილი. ზოგადად, იქ, სადაც კაპიტალიზმია (სამწუხაროდ, საქართველოში არ არის კაპიტალიზმი და საბაზრო ეკონომიკის არანაირი ნიშან-წყალი არ არსებობს) სახელმწიფო უწყობს ხელს, რომ მოხდეს კერძო სექტორის განვითარება და აღნიშნული ფონდები არა სახელმწიფომ, არამედ კერძო სექტორმა დააარსოს. ამისათვის დასავლეთის ბევრ ქვეყანაში არსებობს Hedge fund, mutual fund, კერძო საინვესტიციო ფონდები, რომლებიც არიან უფრო მეტად მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული. იქ, სადაც სახელმწიფოა, ბიზნესი ვერ იქნება თავისუფალი, რადგან გამომდინარე ქართული მენტალიტეტიდან, ამ თანხის განკარგვა ვის მიერ და როგორ მოხდება, არ იქნება კონტროლქვეშ, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც ინფორმაციის მიღება საქართველოში სახელმწიფო დაწესებულებებიდან და მასზე დაქვემდებარებული სუბიექტებიდან თითქმის შეუძლებელია. სხვა კუთხით კი შემიძლია ვთქვა, თუ რატომ არის არარეალური აღნიშნული ფონდი: რეალურად 6 მილიარდი დოლარი, ეს ის ფულადი რესურსია, რომლის შემოდინება ქვეყანას დამატებით ძალიან დიდ პრობლემას შეუქმნის. მაქვს კითხვა, სანამ აღნიშნული ფონდის წარმატებაზე საუბრობს ხელისუფლება, აქვს თუ არა მას განსაზღვრული, თუ რა ფისკალურ პოლიტიკას დაუპირისპირებს ამ ფონდის საქმიანობას, რომ არ მოხდეს ქვეყნის ფინანსური მაჩვენებლების შეცვლა, ინფლაციის გაზრდა, ქვეყანაში ჭარბი რესურსების ნეგატიური გავლენის შემცირება. ამას გარდა, გაურკვეველია, თუ ვინ არიან აღნიშნულ ფონდში ინვესტირების მსურველები და მეორე, მთავარი კუთხით, ქვეყანა, რომელსაც აქვს ძალიან დიდი პირდაპირი და არაპირდაპირი საგარეო ვალი, რომლის ბიუჯეტი ფონდის დაანონსებულ ბიუჯეტზე ნაკლებია, რომელი სერიოზული ბიზნესკომპანია განახორციელებს ინვესტიციას? ან ინვესტორი, რომელიც განახორციელებს ინვესტირებას, როგორ დავუმტკიცებთ ჩვენ ინფრასტრუქტურის არარსებულ ქვეყანაში მოგების მიღების აღბათობას? ეს, ფაქტობრივად, არარეალურია. მე არ მინახავს არცერთი ინვესტორი მსოფლიოში, რომელიც კაპიტალს დებს უკვე განწირულ პროექტში.

ირაკლი ბერძენაძე

— როგორც გაჟღერდა, ამ ფონდის პირველი სამიზნე იქნება ანაკლიის პორტის ინვესტირება. როგორ შეაფასებდით ამ პორტის პოტენციალს?

— ანაკლიის პორტი არის მეორე ძალიან დიდი უკიდურესობა და უდიდესი წამგებიანი პროექტი დღეს საქართველოსთვის. დღეს საქართველო არ იმყოფება იმ სიტუაციაში, რომ გაიღოს რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი ახალი პორტის ასაშენებლად, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანას აქვს ფოთის და ბათუმის პორტი და მათ განვითარებისთვის არაფერი კეთდება. არ ვიცი, რატომ აიტაცა დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომელზეც მე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებდი, ეს არაფრისმომტანი იდეები, რომელიც ჰქონდა წინა მთავრობას, მაგრამ ეს ვიცი, რომ დღეს ქვეყანას არ აქვს ის ფუფუნება, რომ ააშენოს ახალი პორტი. უცნობია, რაზე გათვლით აშენებენ ახალ პორტებს, არის თუ არა დათვლილი მონაცემები, მაგალითად, თურქეთში, რომელიც, ჩემი აზრით, მთლიანად ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ აზიის დამაკავშირებელი კვანძია, სულ 18 მთავარი პორტი არსებობს, ამათგან, დაახლოებით, 9 პორტი შავ ზღვაში აქვთ. თუ გადავხედავთ მათ ტვირთბრუნვას, ვნახავთ, რომ რეალურად დატვირთვის მაჩვენებელი არის 60-65%, იმ ქვეყნისთვის, რომელიც ითვლება მთელ MENA-ს რეგიონში წამყვან ქვეყნად, არის ნატო-ს წევრი, 75 მილიონიანი მოსახლეობის უდიდესი ბაზარი და არაპირდაპირი კუთხით, დაახლოებით, 400-500 მილიონიანი ბაზრის პირდაპირი მომწოდებელი. როგორ ფიქრობთ, შესწევს კი საქართველოს ძალა, გაუწიოს კონკურენცია თურქეთის პორტებს? ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ისეთი პორტები, როგორიც არის დუბაის, შანხაის, ჰონკონგის პორტები, რომლებიც ითვლება მსოფლიოს ყველაზე დიდ პორტებად, დღესაც ვერ მუშაობენ დატვირთვით. მაგალითად, დუბაის პორტი სახელმწიფო დაფინანსებაზეა, რომ ნახოთ თქვენ დუბაის პორტის ფინანსური მაჩვენებლები, მიხვდებით, რომ მიუხედავად მისი სიდიდის, სახელმწიფო დაფინანსების როლი აღნიშნულში საკმაოდ დიდია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შესწევს დღეს საქართველოს უნარი რომ შეინახოს პორტი? მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ აღნიშნული პორტი იქნება დატვირთული, ჯერ მარტო აღნიშნული პორტის იდეის რეალიზებას სჭირდება წლები და შემდგომ დაუმტკიცო მომავალ კლიენტებს, რომ პორტი არის უსაფრთხო. ამასთანავე ჩვენი დიდი კონკურენტი არის თურქეთის პორტები, რომლებიც მომსახურების და ფასების კუთხით ძალიან ბევრ ევროპისა და აზიის ქვეყნებს სჯობს. ჩემი აზრით, უმჯობესია უკვე არსებული პორტების რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება, ვიდრე ქვეყანამ გადაყაროს დიდი ფინანსური რესურსები იმაში, რაც შემდგომ არარენტაბელური იქნება.

— თუ ინვესტიციების შემოდინება იქნება, ძირითადად, რა მიმართულებით იქნებოდა მომგებიანი?

— მომგებიანი იქნება საფინანსო სფერო, ენერგეტიკა, წარმოება, ავიაცია, ტურიზმი.

— ამბობენ სკეპტიკოსები, რომ ეს ფონდი იქნება ერთგვარი „თავშესაფარი“ პრემიერისათვის ან რომელიმე პოლიტიკური ფიგურისთვის?

— მე ვერ დავეთანხმები აღნიშნულ სკეპტიკოსებს, რადგან პრემიერს არაფერი არ სჭირს საიმისო, რომ ფონდი იყოს მისი თავშესაფარი, თუ გადავხედავთ მის ქონებას, რომელსაც აქვეყნებს „ფორბსი“, აქ ვნახავთ, რომ მისი ქონება წლიურად იზრდება. ამას გარდა, ის არის საკმაოდ გამჭრიახი პიროვნება საფონდო ბირჟაზე და იცის სად, როგორ და როდის უნდა მოახდინოს ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში. ის არის ბიზნესმენი, რომელმაც კაპიტალი იშოვა ისეთ დროში, როდესაც ყველაზე მეტი დაკვირვება იყო საჭირო და თითოეული ნაბიჯი იყო გასათვლელი. მეტიც, ჩემი პირადი აზრი თუ გინდათ, ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ეს ფონდი ზედმეტი თავის ტკივილია და მისი სურვილი ნამდვილად არის საქმის გაკეთება, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ მისი გარემოცვა ისე არ ფიქრობს, როგორც ის. რაც შეეხება სხვა ბიზნესმენებს, არ ვიცი ვინ მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ დღეს საქართველოში ბიზნესმენების 80% არ არის ბიზნესმენი, ეს კატეგორია ხალხი არის, რომელთაც არათუ არ ეთქმით ბიზნესმენი, არამედ არც გაეგებათ ბიზნესი. გადავხედოთ ნებისმიერ მათგანს და ვნახავთ თუ როგორ დააგროვეს მათ კაპიტალი, თითქმის ყველა „ნაციონალური მოძრაობის“ საფარქვეშ მყოფია ან წინა ხელისუფლების ძალადობრივი გზით გამდიდრებული პირებია. შეიძლება რომელიმე პოლიტიკური ფიგურისთვის და სამთავრობო ბიზნესისთვის იყოს თავშესაფარი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ჩვენ მესამე სამყაროს ქვეყანას მივეკუთვნებით, სადაც პოლიტიკური პროცესები არ არის ისეთივე სტაბილური, როგორც განვითარებულ ქვეყნებში და ასეთი ფონდები და ბიზნესმენები, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, წარსულს ბარდებიან, რადგან ხელისუფლებით გამდიდრებული ბიზნესმენი ხელისუფლების წასვლასთან ერთად კარგავს თავის კაპიტალს.

ესაუბრა
როლანდ ხოჯანაშვილი

არჩილ გამზარდია:

„რეალურად რომ ვთქვათ, პრეზიდენტობისთვის ბრძოლა არც კი მიმდინარეობს“

მე-5 გვერდიდან

ვფიქრობ, „ნაციონალურ მოძრაობას“ მიმდინარე კამპანიისათვის სხვა სტრატეგია უნდა წარმოედგინა, რამდენადაც მათ არ გააკეთეს აქცენტი ისეთ კატეგორიაზე, რომელიც „ნაციონალური მოძრაობისადმი“ ანტაგონისტურად არის განწყობილი, მაგრამ ასევე კრიტიკულია „ქართული ოცნების“ მიმართ; ეს დღეს შედარებით გამოთავისუფლებული სამიზნე ჯგუფება, რომლის „დატაცებაც“ შეიძლება, თუმცა იმ დროს, როდესაც „ ნაციონალური მოძრაობის“ რგოლები თვითკმაყოფილებაზე და მოწინააღმდეგეების რადიკალურ ნეგატივზეა აგებული, შესაძლო მხარდამჭერებს კარგავს. ზოგადად, ნეგატიური კამპანიები წამგებიანად ითვლება, თუმცა, საქართველოში თავისებურებებით გამოირჩევა და მომგებიან ხასიათსაც იღებს, მთავარია, მისი წარმდგენის რეკრუტირება, ასევე დროულობა და კონტექსტი სწორად იყოს შერჩეული; მაგალითად, საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ მრავალმხრივი ნეგატიური კამპანიები ჰქონდა. ასევე დღეს ბურჯანაძის პრომოუტირება უფრო ეფექტურია ამგვარი დამოკიდებულებით, თუმცა, „ნაციონალური მოძრაობისათვის“ ამ მომენტში ეს მიდგომა წამგებიანად უფრო მოჩანს.

— ბატონო არჩილ, ნინო ბურჯანაძის პიარკამპანიაზე რას გვეტყვით უფრო კონკრეტულად?

— საკვირველია, მაგრამ მიმდინარე არჩევნების სრულფასოვანი მონაწილე გახდა ნინო ბურჯანაძე, ცოტა ხნის წინ მას სტვენით ხვდებოდნენ ხოლმე, ახლა კი საუბარია მის მნიშვნელოვან შანსებზე საპრეზიდენტო არჩევნებში. ცხადია, ბურჯანაძე ბაქრაძის მსგავსად, ამ არჩევნებს იყენებს, როგორც საკუთარი იმიჯის რეაბილიტაციის საშუალებას, რამდენადაც მას სერიოზული საშიშროება ჰქონდა, რომ მოღვაწეობისას მარგინალ სივრცეში არ გადასულიყო; ის გვერდს უვლის ყველა კრიტიკულ მოსაზრებას თავისი პერსონის მიმართ, არ იღებს პასუხისმგებლობებს საკუთარი სამოღვაწეო წარსულის მიმართ და ყოველ ჯერზე საკომუნიკაციო დისკურსს „ ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მიმართავს. საკუთარი მძაფრი განცხადებებით, „ნაციონალური მოძრაობის“ რადიკალი მოწინააღმდეგეების მიმართ გამოხატული სასურველი მესიჯების წყალობით და მტკიცე ქმედებებით ბურჯანაძე არა მხოლოდ საარჩევნო პროცესის სრულფასოვანი მონაწილე გახდა, არამედ პოლიტიკურ კომუნიკაციებშიც ორგანული როლი მოირგო, რაც მისთვის უკვე წარმატებულ ნაბიჯად იქცა.

აქვე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ნინო ბურჯანაძე ალბათ ერთადერთი კანდიდატია, ვისაც ძირითად მესიჯებში სრულიად კონკრეტულ მიზანზე აგებული შინაარსი გააჩნია, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ მკვეთრი აგრესია და შურისმაძიებლური მიზნები; მიუხედავად იმისა, რომ ეს პიარ კამპანიებში წამგებიან მოდელად ითვლება, ჩვენი საზოგადოების პარადოქსული ხასიათის გამო, ბურჯანაძის ნაბიჯები მისთვის ამ ეტაპზე მომგებიანი გახდა. აღნიშნული კამპანია საინტერესოა მხოლოდ ექსპრესიულობით, აქცენტები გაკეთებულია მხოლოდ მოწინააღმდეგეებთან მიმართებაში და შესაბამისი მიზნობრივი აუდიტორიის მხარდაჭერაზე მუშაობს.

— იქნებ გიორგი თარგამაძის პიარკამპანიას შესახებაც გვითხრათ თქვენი აზრი?

— კვლავ წარუმატებელია ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, გიორგი თარგამაძის საზოგადოებრივი კამპანიები, მისი წარუმატებელი პიარკამპანიების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ალბათ, პროდუქტის შეუმდგარობაში უნდა მოვიძიოთ. უპირველეს ყოვლისა, ეს კანდიდატი გამორჩეულად ზედმეტად ხელოვნურია, თითქოს ეძებს ყველა შესაძლო საზოგადოებრივ ინტერესს და მათ შესატყვის მესიჯებსაც ქმნის, მაგრამ საზოგადოება ამ შეტყობინებებს არ იღებს და არც მხარდაჭერას უცხადებს.

ამას გარდა, ბატონი გიორგი თარგამაძე, მიუხედავად იმისა, რომ აქვს გამოცდილება საარჩევნო პროცესებში მონაწილეობისა, პიარკამპანიების თვალსაზრისით მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებს პოზიციონირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმის კუთხითაც, მაგალითად, საპარლამენტო არჩევნებზე გიორგი თარგამაძეს გამოხატული ჰქონდა საააკაშვილისეული ისტერია და ზედმეტი სიმძაფრე ახასიათებდა, რაც არაკონტექსტუალური იყო, ასევე ქცევა-მეტაფორებში არაერთხელ ბაძავდა საქართველოს პრეზიდენტის გამოხატულებებს. ამჟამინდელი კამპანია კვლავ მონოტონურად და არადამაჯერებლად მოჩანს.

ესაუბრა
როლანდ ხოჯანაშვილი

ბაჩო ახალაია სოზარ სუბარის დასჯას ითხოვს

მე-3 გვერდიდან

ბაჩო ახალაია

სოზარ სუბარი

მისივე განმარტებით, სასამართლოს ბრძანება არ ეხება პრევენციის ეროვნულ მექანიზმს და თუ მისი წარმომადგენლების აუდიოჩაწერაც განხორციელდა ბაჩო ახალაიასთან შეხვედრის დროს, ეს კანონდარღვევაა. ყოფილი სახალხო დამცველის თქმით, შემაშფოთებელი ფაქტია, როდესაც მონიტორინგის ჯგუფის წევრი კონკრეტულ პატიმართან იმყოფება საკანში და იქ ხორციელდება ჩანაწერი.

„ეს არის სერიოზული პრობლემა და ეს მონიტორინგს მთლიანად უკარგავს აზრს. ყველაზე შემაშფოთებელი არის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის აღიარება, რომ ისინი მუდმივ რეჟიმში ახორციელებდნენ ახალაიას საკანში აუდიოჩაწერას,“ — განაცხადა ტუღუშმა და განმარტა, რომ როდესაც საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფი შედის, ისინი უნდა გააფრთხილო, რომ ხორციელდება ჩაწერა. მისივე თქმით, დაუჯერებელია, რომ ბაჩო ახალაიამ ჩაწერაზე თანხმობა თავადვე განაცხადა.

როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი ეკა ფოფხაძე აცხადებს, თუკი აუდიოჩაწერის თაობაზე ახალაია ინფორმირებული არ იყო, უნდა დადგეს იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც აუდიოკონტროლზე ბრძანება გასცა.

ეკა ფოფხაძის განმარტებით, პატიმრობის კოდექსის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს განახორციელოს აუდიო-ვიზუალური კონტროლი, თუმცა ეს უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს დანაშაულის გახსნა, დანაშაულის პრევენცია, ან პატიმრის მოქცევაზე დაკვირვება. მისივე თქმით, ადმინისტრაცია ვალდებულია პატიმრის ინფორმირება მოახდინოს, თუ ზედამხედველობის რა საშუალებებს გამოიყენებს — აუდიოკონტროლი განხორციელდება, თუ ვიდეოკონტროლი:

„კანონი გამონაკლის შემთხვევებსაც ითვალისწინებს, როცა შეიძლება არ მოხდეს პატიმრის ინფორმირება. ეს აღნიშნულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები, მაგრამ ჩვენ როგორც ვიცით, პატიმრის ინფორმირებულობა იყო. თუმცა, ის ინფორმირებული იყო ვიდეოკონტროლთან დაკავშირებით და არა აუდიოკონტროლთან დაკავშირებით.

განსხვავება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თუ ვიდეოკონტროლს ახორციელებ, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ვიზუალური დაკვირვება ხდებოდეს, მაგრამ აუდიოკონტროლის დროს ხმაც მოსმენადია და ეს პრობლემაა, როცა საუბარია ადვოკატთან შეხვედრაზე პატიმართან, ან მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლის შეხვედრაზე პატიმართან, რაც კონფიდენციალურია და აუცილებლად უნდა იყოს დაცული.“

ეკა ფოფხაძის განმარტებით, თუკი თვალთვალი ხორციელდებოდა ბაჩო ახალაიას უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე, რაც არის ლეგიტიმური მიზანი, სამინისტრომ უნდა გასცეს დასაბუთებული პასუხი, რატომ არ იყო საკმარისი მხოლოდ ვიდეოკონტროლი და რატომ გახდა აუცილებელი აუდიოკონტროლი. მისივე განცხადებით, ნებისმიერი სახის ჩაწერასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ინფორმირებული მონიტორინგის წევრებიც.

რაც შეეხება სამინისტროს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ახალაიას ცალკე ოთახის გამოყენება შეეძლო, ფოფხაძე აცხადებს, რომ ეს არგუმენტი გაუგებარია:

„ახალაიას ეგონა, რომ მასზე მხოლოდ ვიდეოკონტროლი იყო, ის ცალკე ოთახს არ მოითხოვდა, ის იყო დარწმუნებული, რომ მისი ხმა არ იწერებოდა, ვიზუალურ კონტროლზე ის თანახმა იყო, ხოლო მონიტორები არ მოითხოვდნენ ცალკე ოთახს, რადგან ისინიც არ იყვნენ ინფორმირებული, რომ ჩაწერა მიდიოდა,“ – აცხადებს **ფოფხაძე**.

ახალაიას ადვოკატების თანახმად, მას ხელი ჰქონდა მოწერილი ვიდეოკონტროლზე, ხოლო აუდიოჩანაწერის გაკეთება ნახსენები არ ყოფილა:

„ხელმოწერა არსებობს ვიდეოკონტროლზე, არსად არ წერია იქ აუდიოკონტროლის განხორციელება. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გამოაღწია ამ მასალამ გარეთ, არანაირი ვერსია არ გვაქვს, უბრალოდ, იმდენად არათანმიმდევრულები არიან ეს ადამიანები და იმდენ სხვადასხვა დანაშაულს ჩადიან, რომ ამ ყველაფრის კონტროლი, როგორც ჩანს, უჭირთ და გამოჟონვა ხდება სხვადასხვა ხერხებით,“ — აცხადებს ახალაიას ადვოკატი **გიორგი ონნიანი**. მისივე თქმით, დამნაშავე პირები პროკურატურამ აუცილებლად უნდა გამოავლინოს.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში კი აცხადებენ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცალკეული თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

„გამოძიების დაწყებას საფუძვლად მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია და ვიდეომასალა დაედო, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთ-ერთი დაწესებულების საკანში მოთავსებული პატიმრის ბაჩანა ახალაიას ცალკეულ პირებთან შეხვედრებსა და საუბარს ასახავს,“ — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ბაჩო ახალაიამ სოციალური ქსელ „ფეისბუკის“ საშუალებით განცხადება გაავრცელა, სადაც ის სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს:

„ჩემი დაკავებიდან დღემდე საზოგადოებამ გაიგო არაერთი კანონდარღვევის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ცრუ ბრალდებების შეთითხვნას და ჩემი მრავალი წლით ციხეში გამოკეტვას. მათ შორის, დღეს გამოქვეყნდა კადრები, სადაც ცალსახად ჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩემი საუბრები ადვოკატებთან, კომისიის წევრებთან და პარლამენტარებთანაც კი სრულიად კონტროლდებოდა და ეს ხდებოდა აბსოლუტურად უკანონოდ, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რის გამოც უნდა დადგეს სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი,“ — აცხადებს **ბაჩო ახალაია.**

ციტნე პაატაშვილი

„საქართველოში მენეჯმენტის დასავლურობა აშკარად თვალშისაცემია“

ინტერვიუ სტოკჰოლმის ეკონომიკის ინსტიტუტის რექტორ ანდრეშ ლილენბერგთან

გასულ კვირაში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა სტოკჰოლმის ეკონომიკის ინსტიტუტის რექტორი ანდრეშ ლილენბერგი. მისი შეხვედრები გაიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ვლადიმერ პაპავასთან და თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან. ასევე — კომერციული ბანკების თუ სხვა დიდი ბიზნესის ხელმძღვანელებთან. გთავაზოთ ბატონ ანდრეშ ლილენბერგის ინტერვიუს.

ანდრეშ ლილენბერგი

— ბატონო ანდრეშ, ისეთი პატარა და გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, როგორი ეკონომიკური მოდელია ყველაზე ეფექტური?

— ძალიან მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა ყველაფერში, პოლიტიკაში, ბიზნესში. ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად აკლია პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათ შორის — რუსეთსაც.

არა უბრალოდ გამჭვირვალობა, არამედ აქტიური გამჭვირვალობა, რომ დაანახო ინვესტორებს სამართლიანობა — ბიზნესის კეთების პირობების სამართლიანობა. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. რეგიონული თვალსაზრისით, გეოპოლიტიკური ინტერესიც არის, მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაზე მნიშვნელოვანი გამჭვირვალობაა. აუცილებელია მოხდეს ამ კუთხით ქვეყნის წარმოჩენა.

— ახალმა ხელისუფლებამ ეკონომიკის განვითარების ახალი, როგორც თავად ამბობს, ბუნებრივი და ევროპული გზა შემოგვთავაზა. ერთ-ერთი მათგანი რუსეთთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებია. როგორ შეაფასებდით რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივებს საქართველოსთვის?

— შვედეთიც პატარა ქვეყანაა, ისინიც აქტიურად თანამშრომლობენ რუსეთთან, როგორც ინვესტიციებში, ისე სხვა საკითხებში. ხშირად გაურკვევლად იქცევა რუსეთი. მას გეოპოლიტიკურად ვერსად ვერ გადავიტანთ, ამიტომ ბალანსი და დივერსიფიკაცია აუცილებელია როგორც ზოგადად ურთიერთობებში, ისე კონკრეტულად ვაჭრობაში. რუსეთი ისეთია, როგორიც არის, ეს შემდგარი ფაქტია და მისი ანალიზი არსებობს. ისტორია კარგად ვიცით. მე მომხრე ვარ რუსეთთან დაბალანსებული და დივერსიფიცირებული ურთიერთობების.

მე ბრიუსელიდან ჩამოვედი სტამბულში, სტამბულიდან კი — საქართველოში. ბრიუსელის აეროპორტში ხალხი იმ ინტენსივობით არ მოძრაობს, როგორც სტამბულში. სტამბულის აეროპორტი სავსეა. აი ესაა ეკონომიკა, აქ იგრძნობა განვითარება! შეიძლება ბრიუსელი ძალიან კარგი და დემოკრატიული ქალაქია, მაგრამ ბიზნესი კეთდება სტამბულში.

— საქართველოს ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აგრარული მიმართულება გააქტიურდა. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, გრძელვადიან პერსპექტივაში სოფლის მეურნეობაზე ძლიერი აქცენტის გაკეთება რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ? არსებობს მოსაზრება, რომ აქცენტი სატრანზიტო ფუნქციაზე უნდა გაკეთდეს, თუ ეს ორი მიმართულება ერთმანეთს ხელს არ უშლის?

— თუ საქართველოს ჰქონდა ფოკუსირება და გარკვეული უპირატესობები მოიპოვა აგრარულ სფეროში, აქედან გასვლა და მისი უგულვებელყოფა სისუსტე და სისულელე იქნება. უნდა აკეთო ის, რაშიც ხედავ უპირატესობებს. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში ევროპაში ძალიან გაიზარდა აქცენტი სოფლის მეურნეობაზე. ჯანსაღი კვება დღითიდღე მოთხოვნადი ხდება. შესაბამისად, კიდევ უფრო დიდი აქცენტები უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით და სოფლის მეურნეობა ქვეყნის გარკვეულ სიმბოლოდ უნდა ჩამოყალიბდეს.

— რუს სტუდენტებს, რომლებსაც თქვენ ასწავლით, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით სად წარმოუდგენიათ საკუთარი კარიერის განვითარება — დასავლეთში თუ რუსეთში? როგორია მათი ღირებულებები?

— რუსებს აქვთ ნოსტალგია და სიყვარული თავიანთი მიწის მიმართ. ისინი არიან პატრიოტები, კარგად ცხოვრობენ თუ ცუდად, მაინც თავიანთი ქვეყნის პატრიოტები არიან. რუსი სტუდენტებისთვის, რომლებიც ახლა სტოკჰოლმს ამთავრებენ, ეს მათი მესამე უმაღლესი განათლებაა. ისინი არ არიან 18 წლის, მიღწეულნი არიან 35 წლის ასაკს და არიან წარმატებულნი კარიერაში. რუსი სტუდენტები თავიანთ სამომავლო მოღვაწეობას, ძირითადად, რუსეთშივე განიხილავენ.

— ჩვენ გვყავს მილიარდერი პრემიერ-მინისტრი, როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქვეყნისთვის უპირატესობაა, რომ ამ ეტაპზე, ბიზნესში გამოცდილი ადამიანი მეთაურობს მთავრობას?

— ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ მიდის, ის ბერლუსკონივით არ ებღაუჭება ძალაუფლებას. ბერლუსკონიმ აღარ იცის, რა გააკეთოს, ოღონდ პოლიტიკაში დარჩეს და მისი ქცევები უკვე სასაცილო ხდება და ის მასხარას ემსგავსება. ივანიშვილმა კი თქვა, გააკეთა და ახლა მიდის, რომ ეს სისტემა სხვებმა მართონ.

— თქვენი ვიზიტის ფარგლებში რა გეგმები გაქვთ და ბიზნეს-განათლების კუთხით როგორი დონე დაგხვდათ საქართველოში?

— შეხვედრები გაიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ვლადიმერ პაპავასთან და თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრის ფარგლებში განიხილება არა კონკურენცია, არამედ შესაძლებლობა იმისა, რომ ერთობლივი პროგრამა გაკეთდეს, ან დაიწყოს კურსები წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. ეს კი შეიძლება მომავალში გადაიზარდოს იგივეში, რაც ბალტიისპირეთსა და რუსეთშია, სადაც ინსტიტუტი იძლევა ევროპულ დიპლომს. ასევე შევხვდი „თი ბი სი“ ბანკისა და „საქართველოს ბანკის“ პირველ პირებს, საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო ბიზნესის წარმომადგენლებს, ვიყავით „კავკასუს ონლაინში“, „ჯეოსელში“. ვესაუბრეთ იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს „ცოცხალ ბიზნესში“ არიან, დაახლოებით, 8 ასეთი შეხვედრა მქონდა. შეხვედრებისგან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა მოლოდინს გადააჭარბა, მენეჯმენტის დასავლურობა აშკარად თვალში საცემია. კომპანიები ძალიან სწრაფად იზრდებიან და აუმჯობესებენ საკუთარი მენეჯმენტის გამოცდილებებს. ისინი არათუ განვლილ 15 წელზე საუბრობენ, არამედ მომავალი 15 წლის პერსპექტივებზე ფიქრობენ. ძალიან მომეწონა ის ოპტიმიზმი, რომელიც ქართველი ბიზნესმენების მხრიდან ვიგრძენი.

comersant.ge

„ქარტიის პრიზი" ჟურნალისტებისთვის

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია წელს პირველად აწესებს „ქარტიის პრიზს". კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას და ეთიკური ჟურნალისტიკის წახალისებას.

კონკურსი ცხადდება შემდეგ ნომინაციებში:

- საუკეთესო სატელევიზიო რეპორტაჟი
- საუკეთესო რადიო რეპორტაჟი
- საუკეთესო სტატია ან ნარკვევი ბეჭდურ ან ონლაინ მედიაში
- საუკეთესო მედიაკრიტიკა

მთავარი კრიტერიუმები: ჟურნალისტური პროდუქტის მომზადების პროფესიული ხარისხი და ეთიკური სტანდარტები.

გამარჯვებულებს ნომინირებული კონკურსანტებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მასალებიდან შეარჩევს დამოუკიდებელი ჟიური.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ნამუშევრების წარდგენა შეუძლია ნებისმიერ მედიასაშუალებას ან ჟურნალისტს.

საკონკურსო ნამუშევარი უნდა იყოს გამოქვეყნებული 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდში.

მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოგზავნონ საკონკურსო ნამუშევარი (ვიდეო, აუდიო, ბეჭდური), მისი მოკლე ანოტაცია და ინფორმაცია ავტორის შესახებ, მითითებულ მისამართზე ethicscharter@gmail.com ან მოიტანონ ქარტიის ოფისში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის ვადა სრულდება 2013 წლის 30 ნოემბერს.

კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულებისთვის პრიზების გადაცემის ცერემონია შედგება 2013 წლის დეკემბერში, ქარტიის საერთო კრებაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქარტიის აღმასრულებელ დირექტორს, თამარ რუხაძეს: მობ: 599 40 90 31,

e-mail: ethicscharter@gmail.com

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

მისამართი: ქ. თბილისი, კალისტრატე ცინცაძის ქ.6/7

თანაგრძნობა

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირინა ქუთათელაძესა და ზაზა ზარნაძეს მამისა და სიმამრის **ავთანდილ ქუთათელაძის** გარდაცვალების გამო.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები პრემიერის უფლებებს ზღუდავს

პარლამენტმა 4 ოქტომბერს მესამე და საბოლოო მოსმენით 103 ხმით ერთხმად მიიღო კონსტიტუციაში ცვლილებები, რომელიც პრემიერ-მინისტრის გარკვეულ უფლებამოსილებებს ზღუდავს ახალ საკონსტიტუციო მოდელში, რომელიც ძალაში 27 ოქტომბერს არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან შევა.

ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" მხარი დაუჭირა „ქართული ოცნების" მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს. პირველად პრეზიდენტ სააკაშვილის პარტიის მხარდაჭერით პარლამენტმა მარტში შეიტანა **ცვლილებები კონსტიტუციაში**, რომლითაც პრეზიდენტის უფლებამოსილება შეიზღუდა.

4 ოქტომბერს მიღებული კანონპროექტის თანახმად, რომელიც ძალაში მას შემდეგ შევა, რაც მას პრეზიდენტი სააკაშვილი მოაწერს ხელს, პარლამენტს დარჩება ბერკეტი, რომ მთავრობის წევრთა 1/3-ით განახლების შემთხვევაში, ხელახლა გამოუცხადოს ნდობა პრემიერ-მინისტრს და მის კაბინეტს; ამჟამად მოქმედი ამ დებულების ძალაში დატოვება ნიშნავს იმას, რომ პრემიერ-მინისტრს აღარ მიენიჭება უფლება, რომ პარლამენტის გვერდის ავლით გამოცვალოს მთავრობის მთლიანი შემადგენლობა.

გარდა ამისა, ცვლილებების მიხედვით, უქმდება ახალ კონსტიტუციაში ჩადებული დებულება, რომელიც უფლებამოსილებას აძლევდა პრემიერ-მინისტრს, რომ ნებისმიერ კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტის წინაშე მთავრობის ნდობის საკითხი დაესვა, რის შემდეგაც პარლამენტს ორი არჩევანი რჩებოდა: ან კანონპროექტის ერთი მოსმენით დამტკიცება ან მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება.

ასევე ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციას ემატება ბიუჯეტის კანონის მიღებასთან დაკავშირებული ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც, თუ პარლამენტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში ვერ მიიღებს ბიუჯეტის კანონს, მაშინ ეს ავტომატურად ჩაითვლება მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრად, ხოლო თუ პარლამენტი ვერ შექმნის ახალ მთავრობას, პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

ამჟამად მოქმედი ნორმით, ბიუჯეტის დაუმტკიცებლობას შესაძლოა მოჰყვეს პრეზიდენტის მიერ მთავრობის გადაყენება ან პარლამენტის დათხოვნა.ამასთან, „ქართული ოცნების" მიერ ასევე ინიცირებულია კონსტიტუციაში ცვლილებების სამი პროექტი: ერთი ეხება კონსტიტუციის გადასინჯვისთვის საჭირო კვორუმის 2/3-ზე შენარჩუნებას, ნაცვლად იმისა, რომ ის ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ 3/4-მდე გაიზარდოს; მეორე კანონპროექტი იმ დებულების გაუქმებას ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტის ადგილსამყოფელად ქალაქ ქუთაისს განსაზღვრავს; ხოლო მესამე პროექტი უფლებას აძლევს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს დაიკავონ პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობები, რაც ამჟამად აკრძალულია — ამ კანონპროექტების განხილვა პლენარულ სხდომაზე ჯერ არ დაწყებულა.

civil.ge

განცხადებები

გაზეთი „P.S."(„პოსტსკრიპტუმი") გაცნობებთ

თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ჩვენი ახალი სერვისით - მცირე განცხადებების გამოქვეყნება უფასო განცხადების ტალონით!
ამ მომსახურების მისაღებად საკმარისია, გაზეთიდან ამოჭრათ სპეციალური ტალონი, დაწეროთ თქვენთვის სასურველი განცხადებისა თუ მილოცვის ტექსტი და მოგვაწოდოთ რედაქციაში (მისამართი: რუსთაველის 37 ა), ან დატოვოთ „პოპულში" მდებარე წიგნების მაღაზია „ქიმერიონში" ყოველი კვირის ხუთშაბათამდე (მისამართი: რუსთაველის 141).
ძვირფასო მკითხველო! შეგახსენებთ ასევე, რომ თქვენ შეგიძლიათ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი" გამოიწეროთ და ბინაზე ან ოფისში მიიღოთ, ფასნამატის გარეშე, ან შეიძინოთ ქუთაისის ყველა საგაზეთო ჯიხურში და მარკეტში, მათ შორის „პოპულში"!
გაზეთის გამოწერისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 24 45 46, 599 17 70 39.

იყიდება

- იყიდება 500 კვ.მ. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, ვენახით და სხვა.

მისამართი: თერჯოლის რაიონი, სოფელი ჭოგნარი, ქუთაისიდან 3 კილომეტრში.
ტელეფონი: 599 43 40 40

იყიდება სამოსახლო **მიწის ნაკვეთი** ქუთაისში, ტყიბულის ქ. №169. 550 კვ.მ. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 598 577 129

- იყიდება 4-განყოფილებიანი რუსული მაცივარი ქუთაისში, რომელიც მუშაობს 0 გრადუს ტემპერატურაზე. ახალი გადაღებილი ნორმალურ მდგომარეობაში, დაზიანებული აქვს მხოლოდ მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი კოროზიით. გასაყიდი ფასი 350 ლარი.

ტელეფონი: 558 76 93 46

- 3-ოთახიანი, 4(5), 80 კვ.მ. ურემონტო კუთხის ბინა ქუთაისში, აღმაშენებლის ქ. №41-ში, ნინოშვილის ბაზართან, ამოსაშენებელი ლოჯიით და კიბის უჯრედით, სარდაფით. ფასთან და გადახდის პირობებთან დაკავშირებით შეთანხმება შესაძელებელია.

ფასი: 32000 $
ტელ.: 599 45 74 31; 599 13 66 01.
ალეკო გიორგაძე

სასწრაფოდ იყიდება! 6000 კვ.მ. მიწის ნაკვთი ქუთაისის შესასვლელში. **ფასი:** 1კვ.მ – 2 ლარი
ტელ.: 431 25 53 12

უძრავი ქონება

- **გირავდება ან ქირავდება!** 26 კვ.მ. რუსთაველის 71-ში გირავდება ან ქირავდება.

ფასი: 10000 $
ტელ.: 577 92 19 02. **ნანა**

- **2-ოთახიანი, ინდივიდუალური პრ. 2(6), 45 კვ.მ. ევრორემონტი ა/სადგომი, ბ/აირი, გათბობა,** კონდიციონერი, მ/წყალი, რკინის კარი, ტელეფონი, კომფორტული ბინა ავეჯი, თეთრეული, საჭირო ჭურჭელი, თეთრეული, კონდეციონერი (ზიმა-ლეტა). ფასი: 75 ლარი, ტელ.: 555 22 59 59

საერთო ფართი: 45 კვ.მ.
სართული: 2 ოთახების, რაოდენობა: 2, ფასი: 75 ლარი,
ტელეფონი: 555 22 59 59

- **ქირავდება!** 50 კვ.მ. ქუთაისში წერეთლის უნივერსიტეტთან საკუთარი სახლის 1-ლი სართული, ახალი გარემონტებული, იზოლირებული შესასვლელით სამზარეულოთი, ტუალეტში ახალი გამოცვლილი სან-ტექნიკით, მუდმივი გაზით და წყლით, ვერანდით. რკინიგზის საავადმყოფოსთან.

ტელ.: 598 59 80 42

- **ქირავდება!** 2-ოთახიანი. ქალაქური პრ. 3(9), 80 კვ.მ. გარემონტებული მ/წყალი, რკინის კარი, ავეჯით, ღია აივნებით.

მისასამართი: ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15, III კვ. I სად. (სასტუმრო „საქართველოს" თავზე).
ფასი: 350 ლარი
ტელ.: 595 58 40 64; 492 25 25 84.
ლიანა

სხვადასხვა

- ვყიდი 100% ნატურალურ წაბლის თაფლს ქუთაისში, მაქვს ლაბორატორიული დამოწმებაც.

ტელეფონი: 598 11 30 70

- ვყიდი განსაკუთრებულ, უმაღლესი ხარისხის, სერტიფიცირებულ ღვინოს ზესტაფონში. მაქვს სერტიფიკატი. ციცქა — 10 ტონა. მთლიანი შესყიდვის შემთხვევაში, 1 ლიტრის ფასი — 3 ლარი.

ტელეფონი: 557 97 57 47

- იყიდება ძველი რუსული ფული ქუთაისში: 100 რუბლი 1910 წლის 10 რუბლი 1909 წლის 5 რუბლი 1909 წლის 3 რუბლი 1905 წლის 1 რუბლი 1898 წლის.

ტელეფონი: 599 70 01 52

- იყიდება 300 ცალი ცეცხლგამძლე აგური ქუთაისში. 1ცალი — 1 ლარი.

ტელეფონი: 599 07 40 47

მოვამზადებ

- **ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას.**

CELTA -ს მიერ სერთიფიცირებული ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას მაღალ დონეზე. მეცადინეობები ჩატარდება 3-4 კაციან ჯგუფებში. მეცადინეობებს დაეთმობა ერთი საათი, კვირაში 4 დღე. ერთი თვე — 80 ლარი.

ტელ.: 557 26 08 43

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №37. მესამე სადარბაზო, მესამე სართული.

- მოვამზადებ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში, ასევე უფროსი ასაკის ნებისმიერ მსურველს. აბიტურიენტებს — ინგლისური ენის ჩაბარების 100%-იანი გარანტიით.

ტელ.: 26 30 77
მისამართი: თაბუკაშვილის 28/4

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში, უნარებსა და ფიზიკაში.
ტელ.: 555 3182 69

ვაკანსია

გაზეთი „P.S." („პოსტსკრიპტუმი") აცხადებს ვაკანსიას **სარეკლამო აგენტის** თანამდებობაზე, მაღალი პროცენტული ანაზღაურებით.
ტელ.: 24 45 46, 599 107794

უფასო განცხადების ტალონი

_____

_____

_____

_____

უფასო განცხადების ტალონი ამოჭერით ტალონი, ჩაწერეთ შიგ თქვენი განცხადების ტექსტი, არაუმეტეს 20 სიტყვისა, მოგვაწოდეთ რედაქციაში მისამართზე: რუსთაველის ქ. 37ა. ან დატოვეთ წიგნების მაღაზია „ქიმერიონში" მისამართზე: რუსთაველის ქ. №141 („პოპული").

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: რომანტიკულ თავგადასავლებზე უარი არ თქვათ. ურთიერთობების გასარკვევად ეს კვირა იდეალურია. კარიერაში მნიშვნელოვან ნაბიჯებს ერიდეთ.

კურო: ეს კვირა ფრიად წარმატებულია კოლექტიური სამუშაოებისთვის. ოჯახში ურთიერთობების სრული ჰარმონია დამკვიდრდება.

ტყუპები: სამსახურში წარმატებას მიაღწევთ. გამოიყენეთ თქვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად და თქვენ დიდ წარმატებას მიაღწევთ.

კირჩხიბი: ფინანსური ოპერაციებისთვის არახელსაყრელი დროა. საქმიან მოლაპარაკებებზე კომპრომისზე მოგიწევთ წასვლა. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

ლომი: თქვენ აგაღელვებთ მატერიალური ხასიათის საკითხები. ვარსკვლავები შეგახსენებთ იმის შესახებ, რომ საჭიროა მშობლების მონახულება. ელოდეთ სასიამოვნო სტუმრებს.

ქალწული: აქამდე გადაუწყვეტელი ყველა საკითხი და პრობლემა თქვენს გარშემო მოიყრის თავს. მათი მოგვარება კი უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ასე რომ, არ გირჩევთ სერიოზული ცვლილებების განხორციელებას.

სასწორი: თქვენი აქტიურობა მაქსიმუმს მიაღწევს. კარგი იქნება, თუ იმიჯს შეიცვლით. საყვარელ ადამიანთან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება, ამიტომ აკონტროლეთ სიტყვები.

მორიელი: წინ საკმაოდ ენერგიული დღეები გელით. ერიდეთ კონფლიქტებს. საშუალება მოგეცემათ ყველაზე რთული დავალებაც კი მარტივად გადაწყვიტოთ.

მშვილდოსანი: ეს კვირა ჩაივლის ეფექტურად, თუ თქვენ პოტენციალს გამოავლენთ საქმეში, რომელიც ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან არასახარბიელოდ შეიძლება დამთავრდეს.

თხის რქა: აქტიურობა უნდა გამოიჩინოთ. გელით წარმატება ბიზნესში, შემოქმედებით საქმიანობასა და სასიყვარულო ურთიერთობაში. მოსალოდნელი კონფლიქტის გამო გაგიუარესდებათ ემოციური მდგომარეობა. გირჩევთ, თავისუფალი დრო ოჯახის წევრებთან გაატაროთ.

მერწყული: თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდი დადგა. ერიდეთ კონფლიქტებს. ეს კვირა წარმატებული იქნება თქვენთვის. იდეალური პერიოდია ცხოვრების მოსაწყობად.

თევზები: გექნებათ პირობები მატერიალური ბაზის შექმნის და გამყარებისთვის, ასევე ნათესავები შეძლებენ თქვენი შრომის ნაყოფის გამოყენებას. თუმცა, ამ მიმართულებით მოგიწევთ ფუნდამენტის ჩაყრა, მუშაობა დიდხანს და დაჟინებით.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ბაირონი; 5. პორტი; 6. მაო; 8. სან; 9. მასაი; 11. იზმაილი.
შვეულად: 1. ფინტი; 2. ბოა; 3. ბაობაბი; 4. იბადანი; 7. მაგია; 10. თმა.

მიჯირყვნილთა სადარდებელი

ზურაბ ვარდიაშვილის ბლოგი;
„ლიბერალი“
http://blogs.liberali.ge

„კარიდან თუ არ გიშვებენ, — ფანჯრიდან შედი“ — ეს ყოვლად ბანალური ფრაზა-შეგონება, ალბათ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ნებისმიერი პირველკურსელისთვის კარგად ნაცნობია.

„გამოდით, კარიდან თუ არ გიშვებენ, ფანჯრებიდან გამოდით“ — ვეხვეწებოდი გუშინ ჟურნალისტებს. გულში ოღონდ, აბა იმათ ხმას როგორ მივაწვდენდი, პრემიერ-მინისტრთან ჰქონდათ შეხვედრა. მაღლა, მთაწმინდაზე.

სახელისუფლებო მედია-მასტერკლასს თვალი ბოლომდე ვერ მივადევნე. არა იმიტომ, რომ ჩემი დროის დაკარგვის ღირსად არ მივიჩნიე. უბრალოდ, დარდი შემომაწვა, დავნაღვლიანდი.

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თამაშისთვის ხომ გიყურებიათ? დრიბლინგი მაგათ არ იციან, კარში ვერ ურტყამენ, ბურთს ვერ იჩერებენ, შეტევაზე ვერ გადაღიან, თავს ვერ იცავენ. მოკლედ, საშინელებაა, მაგრამ ხომ გულშემატკივრობთ მაინც? ასე ვართ მე და ჩვენი ბედკრული ჟურნალისტიკაც.

დიდ პრობლემად არ მიმაჩნია, როდესაც პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტებს უხეშ შენიშვნებს ურიგებს...

როდესაც, მათ პროფესიონალიზმის დონეს უწუნებს...

დასცინის, აქილიკებს...

ახსნა-განმარტებას სთხოვს...

საიდანღაციდან იგონებს საოცარ მედიასტანდარტებს და ცდილობს, ეს მონაგონი ჟურნალისტებს „ასწავლოს“...

პრობლემა ისაა, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ჟურნალისტები მას ამის საშუალებას აძლევენ.

თუ გუშინდელი შეხვედრის მიზანი მედიის დისკრედიტაცია იყო, პრემიერ-მინისტრს ეს ნამდვილად გამოუვიდა. ჯერ ფორმატიდან დავიწყოთ: რა ერქვა ამას? ბრიფინგი? პრესკონფერენცია? რა მიზანი ჰქონდა შუშის სასახლეში მისულ თითოეულ ჟურნალისტს? ნეტავ წინასწარ იცოდნენ, რა ტიპის შეხვედრაზე მიდიოდნენ? პრესცენტრმა დღის წესრიგი წინასწარ დაუგზავნათ? საერთოდ, ჟურნალისტიკის რა ჟანრია ასე უბრალოდ შეხვედრა და „ბაასი“?

კარგი. ამას თავი გავანებოთ. მიგიწვიეს — წახვედი — შეიკრიბეთ. 16 ტელეჟურნალისტის პირისპირ ზის კაცი, მდიდარი, გავლენიანი, მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა — არც ისე რთული რესპოდენტი. იმპროვიზატორი, ყოველთვის მოუმზადებელი, ყოველგვარ ქარიზმას მოკლებული, ფაქტების არმცოდნე (ან არასწორად მცოდნე), მეტყველების ცუდი მანერით, მოუხეშავი ჟესტიკულაციით, ტრადიციულად სასაცილო წამოცდენებით... ჯერ მარტო ის რად ღირს, „მინისტრებს კრიტიკა მუშაობის ხალისს რომ უკარგავს“ თურმე.

წარმოვიდგინოთ, რომ ეს სპექტაკლი სხვა ქვეყანაში გამართულიყო. რომელიმე საშუალო სტატისტიკური გამოცემის დამწყები ჟურნალისტები პირდაპირი და არაპირდაპირი მნიშვნელობით ტყავს გააძრობდნენ ასეთ რესპოდენტს. მშვიდად, მარტივად, დაუძაბავად.

ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ კვალიფიციური მედიაკრიტიკა არ არსებობს, — კოლეგიალობის სიწმინდის შებღალვად მიიჩნევა. ეს ბარიერი ჩემთვისაც ნაცნობია, ვერ ვერევი. ამიტომაც ვერ ხედავთ, თუნდაც ამ ბლოგში, სახელებს და გვარებს. ეს ჩემი პრობლემაა, ამ საკითხში მეც მიჯირყვნულად ვგრძნობ თავს. ჩვენი ჟურნალისტების უმრავლესობა ხომ ერთმანეთს იცნობს, მათ ხშირად ვხვდები ბრიფინგებზე, პრესკონფერენციებზე, ტრენინგებზე, სემინარებზე, ვორქშოპებზე და „გასვლით შეხვედრებზე“. ჩემთვის ცნობილია მათი მუშაობის სტილი, მანერა, დონე...

კარგი ჟურნალისტი, ალბათ, დეტალურად აღწერდა ყველაფერს, ჟურნალისტიკის ათას ხერხს გამოიყენებდა, პრემიერზე გაცილებით გემოვნებიანად დასცინებდა, გააქილიკებდა, მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა ყველას, ვინც ამას იმსახურებს. მაგრამ მე არ ვარ კარგი ჟურნალისტი, მიჯირყვნილი ვარ ჩემს წრეში დომინანტური, კოლეგიალურ-კასტურ შეხედულებათა გავლენით. ეგებ ეს ბლოგი იყოს მისგან გათავისუფლების პირველი ნაბიჯი? არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ თუ მედიის კრიტიკა თავად მედიიდან არ წამოვიდა, მუდმივად გაგრძელდება და არასოდეს გამოილევა მიჯირყვნილთა სადარდებელი.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ელისო ჩაფიძე პირველად ამოიცნო **სულიკო ფუტკარაძემ**, შემდეგ დაგვიკავშირდნენ **ნანა ფანცხავა** და **ფიქრია სანიკიძე**.

რას დაარქმევდით?

ირაკლი ღარიბაშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი

„ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია...“
შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.ge**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. დარტანიანის სატრფო; 5. ... პორთოსი, არამისი; 6. მე-13 ასო ბერძნულ ენაში; 8. გადაშენებული დიდი ზომის მორბენალი ფრინველი; 9. მერიმეს ნოველა ... ფალკონე; 11. პარიზშია ... კოშკი.
ვერტიკალურად: 1. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 2. 23-ე ასო ბერძნულ ენაში; 3. ამ წმინდანის ღამეს მოხდა პარიზის ხოცვა-ყლეტა; 4. პარიზშია ... მინდვრები; 7. ქმრის ძმა; 10. ქვიშის შხამიანი გველი.